ვერსია

№39 (1629) 5 — 11 ოქტომბერი ოთხშაბათი 2022 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

ბოზური აგურის დადება გადაწყვიტეს... მე და „სიხო“ ჩამოვალთ და მუხლებს დაგიხვრიტავთ“...

ვინ არის „სიხო“, რომელსაც ვაკო ყაზაიშვილის ცოლის ძმა ჩანაწერში ახსენებს

ბირთვული აფეთქება თუ ევროპის გაყინვა

როგორ აშანტაჟებს პუტინი დასავლეთს

რითი სჯობს „ოცნების“ მმართველობის ათი წელი ენმ-ს ცხრა წელს



შედარებითი დახასიათება რამაზ საყვარელიძისგან

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

სტრასბურგის სასამართლო დეკანოზ მამალაძის საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად გავიდა

თორნიკე მამალაძე: „მგონია, რომ საპატრიარქო ჩემი ძმის პატიმრობიდან გათავისუფლების წინააღმდეგი არ უნდა იყოს!“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმეზე ოთხი პირი დააკავა, ხოლო რვა პირს ბრალი წარედგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უცხო ქვეყნების ინტერნეტმომხმარებლების მიმართ განხორციელებულ თაღლითობის ფაქტზე, ოთხი პირი დააკავეს, ხოლო რვა პირს ბრალი წარუდგინეს.

დაკავებულები არიან: 1972 წელს დაბადებული ზ.ს., 1991 წელს დაბადებული ე.ნ., 1995 წელს დაბადებული ი.კ. და 1994 წელს დაბადებული ა.მ.

ბრალი წარედგინათ: 1996 წელს დაბადებულ გ.მ.-ს, 1997 წელს დაბადებულ ნ.ვ.-ს, 1992 წელს დაბადებულ გ.თ.-ს, 1990 წელს დაბადებულ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს – მ.ქ.-ს, 1998 წელს დაბადებულ ი.მ.-ს, 1992 წელს დაბადებულ გ.კ.-ს, 1984 წელს დაბადებულ რუსეთის ფედერაციისა და ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქეს – ი.ვ.-ს და 1989 წელს დაბადებულ ბელგიის სამეფოს მოქალაქეს – გ. წ.-ს.

დანაშაული 7-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ი.ვ.-მ საქართველოში დაარეგისტრირა კომპანია, რომლის თანამშრომლები უცხო ქვეყნის, ძირითადად, საფრანგეთის მოქალაქეებს, ინტერნეტ-ბრაუზერში უგზავნიდნენ შეტყობინებას – pop up-ს, სადაც კატეგორიული ფორმით, ფრანგულ ენაზე ეწერა, რომ მათი კომპიუტერი დავირუსებული იყო და ხარვეზების გამოსწორებისთვის უნდა დაერეკათ მითითებულ ნომერზე. შეტყობინებას არ ჰქონდა გათიშვის ფუნქცია და მომხმარებლები კომპიუტერით ვეღარ სარგებლობდნენ. მომხმარებლები, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ კომპიუტერებს ჰქონდათ სერიოზული პრობლემა, რეკავდნენ შეტყობინებაში მითითებულ ნომერზე, რომლითაც სარგებლობდა ზემოხსენებული კომპანია. პირველ ეტაპზე, მათ ესაუბრებოდნენ კომპანიის ქოლ-ცენტრის თანამშრომლები, რომლებიც ეცნობოდნენ ფრანგული სახელებით, კიდევ უფრო მეტად არწმუნებდნენ პრობლემის სერიოზულობაში და მის მოგვარებას ჰპირდებოდნენ. მომხმარებლები, რომლებიც იჯერებდნენ, იხდიდნენ გარკვეულ საზღაურს სხვადასხვა ონლაინ გადახდის სისტემების გამოყენებით, რომლებთანაც ი.ვ.-ს ჰქონდა დამყარებული კავშირი, რის შემდეგაც, ზემოაღნიშნული კომპანიის, ე.წ. IT-თანამშრომლები დისტანციური წვდომის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით შედიოდნენ დაზარალებულის კომპიუტერულ მოწყობილობებში და ახდენდნენ pop up-ის გათიშვას, ასევე გარკვეული პროგრამული უზრუნველყოფის დაყენებას, რათა დაზარალებულს შექმნოდა ილუზია, რომ მის მიერ გადახდილი თანხის შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიისგან.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით დაზარალებულებს, საერთო ჯამში, მიადგათ 767 000 ევროზე მეტი ოდენობის მატერიალური ზიანი.

კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 284-ე, 180-ე და 194-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ალექსანდრე დარახველიძემ, UNICEF-ის ორგანიზებით, მოსამართლეებთან გამართულ სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, გაეროს ბავშვთა ფონდის – UNICEF-ის ორგანიზებით, სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის, მსხვერპლისა და დაზარალებული ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის მხარდასაჭერად, მოსამართლეებთან გამართულ სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

შეხვედრის მიზანს ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის საქმიანობის პროცესის მიმოხილვა, მიღწეული შედეგებისა და გამოვლენილი გამოწვევების ირგვლივ მსჯელობა წარმოადგენდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა.

როგორც ალექსანდრე დარახველიძემ აღნიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტულია მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი არასრულწლოვნების უფლებებისა და ინტერესების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფა. შესაბამისად, სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მონაწილეობით ჩასატარებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების მათზე მორგებულ გარემოში განხორციელება.

მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ცენტრში არსებული გარემო ხელს უწყობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის პრინციპების მაღალი სტანდარტით დაცვას, სამართალწარმოების ეტაპზე.

შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო ქადაგიძემ, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში, დოქტორმა ღასან ხალილმა, ესტონეთის ელჩმა საქართველოში რიინა კალიურანდმა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამილა ბარკალაიამ და მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს მოადგილე ელისო შონიამ.

სამუშაო შეხვედრაზე, გაეროს ბავშვთა ფონდისა და უწყებების წარმომადგენლებმა ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის მუშაობის პროცესში დაიდენტიფიცირებულ გამოწვევებზე, მათი გადაჭრის სამართლებრივ და პრაქტიკულ ასპექტებზე იმსჯელეს და სამომავლო ნაბიჯებზეც შეთანხმდნენ.

საქართველოს პოლიციის ატაშეები პოლონეთსა და ესპანეთში წარმატებული საქმიანობისთვის დაჯილდოვდნენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან ევროპის ქვეყნებში მივლენილი პოლიციის ატაშეები წარმატებული საქმიანობისთვის დაჯილდოვდნენ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშე, პოლკოვნიკი გიორგი გამსახურდია პოლონეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, მარიუშ კამინსკიმ პოლონეთის პოლიციის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის, ოქროს მედლით დააჯილდოვა. გამსახურდიას აღნიშნული ჯილდო პოლონეთის პოლიციის მთავარმა კომენდანტმა, გენერალმა იაროსლავ შიმჩიკმა გადასცა. დაჯილდოების ცერემონია პოლიციის მთავარი კომენდატურის შენობაში გაიმართა.

საქართველოს პოლიციის ატაშე, შალვა შუბლაძე კი „წითელი ჯვრის“ მედლით დაჯილდოვდა. ამ დრომდე, არ ყოფილა შემთხვევა, რომ უცხოელი პოლიციის ატაშე ესპანეთში, აღნიშნული ტიპისა და მაღალი რანგის მედლით დაჯილდოებულიყო. შალვა შუბლაძეს „წითელი ჯვრის“ მედალი, ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ფერნანდო გრანდე მარლასკას ბრძანებით, არსებული წარმატებული საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გათვალისწინებით გადაეცა.

პოლიციამ მესტიასა და თბილისში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღო – დაკავებულია სამი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში, თბილისსა და მესტიაში, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღეს და სამი პირი დააკავეს.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების მთავარი სამმართველოს და საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული თ.ბ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი პისტოლეტი, ცეცხლსასროლი რევოლვერი, 2 მჭიდი და 17 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, 1976 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.გ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1994 წელს დაბადებული დ.ვ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი მჭიდი და 12 ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ბირთვული აფეთქება თუ ევროპის გაყინვა

ნინო დოლიძე

როგორ აშანტაჟებს პუტინი დასავლეთს

კრემლის დიქტატორი ფსიქიკური შეშლილობის ზღვარზეა. ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარა ფსიქიკური შეშლილობაა, აბა, რა ჯანდაბაა?! ზოგადად, იმაზე, რომ პუტინს ფსიქიკური პრობლემები აქვს, ბევრი ანალიტიკოსი მიანიშნებს. ახლა კი ეს მენტალური აშლილობა, როგორც ჩანს, პიკშია – კრემლსა და მსოფლიოში მის მიმდევრებს ეგონათ, რომ ძლევამოსილი რუსული არმია უკრაინას ორ დღეში დააჩოქებდა, მაგრამ ნახევარ წელზე მეტია, რუსები წელში წყდებიან, არაქათი ეცლებათ, უკრაინელები კი ოკუპირებულ ტერიტორიას დღითიდღე ათავისუფლებენ.

ომის დამთავრებას ჯერ არ პროგნოზირებენ, მაგრამ თუ იგივე ბრიტანეთის დაზვერვის მიერ გავრცელებულ ცნობებს დავუჯერებთ, უკრაინელები კონტრშეტევას გააგრძელებენ და რუსული არმიის უძლეველობის მითს საბოლოოდ დაასამარებენ. ამ ფონზე, პუტინი, შესაძლოა, იძულებული გახდეს, რომ საკუთარი ღირსება ბირთვული იარაღით დაიცვას. სხვათა შორის, მედვედევმა თქვა კიდეც, რომ ბირთვული იარაღის გამოყენებაზე საუბარი ბლეფი არ არის. თავად პუტინმა კი „სტრახოვკა“ იმით გაიკეთა, რომ ათეულობით წლის წინ, აშშ-ის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენება გაიხსენა.

„რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიასთან დაკავშირებით სიტყვით გამოსვლის დროს, კიდევ ერთხელ გააჟღერა ბირთვული მუქარა და ხაზი გაუსვა, რომ ატომური ბომბის გამოყენების პრეცენდენტი უკვე არსებობს.

სიტყვით გამოსვლის დროს, პუტინმა ისაუბრა დასავლური სახელმწიფოების ათწლეულებისა და ასწლეულების წინანდელ პოლიტიკაზე, მათ შორის, აშშ-ზეც და ახსენა, რომ ამ უკანასკნელმა ბირთვული იარაღი ორჯერ გამოიყენა იაპონიის წინააღმდეგ – ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის დროს.

„სხვათა შორის, პრეცენდენტი შექმნეს“, *– ხაზი გაუსვა პუტინმა.*

აქამდე, 21 სექტემბერს, როდესაც ვლადიმირ პუტინმა რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა, მან თქვა, რომ რუსეთი, საჭიროების შემთხვევაში, არსებულ ყველა საშუალებას გამოიყენებდა და ეს ბლეფი არ იყო. მან ასევე თქვა, რომ ვინც რუსეთის ბირთვული იარაღით შანტაჟს ცდილობს, „უნდა იცოდნენ, რომ ქარმა, შესაძლოა, მათი მიმართულებით იცვალოს პირი“.

ამას გარდა, რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და რუსეთის ექსპრეზიდენტი, დიმიტრი მედვედევი საკუთარ ტელეგრამ-არხზე წერდა, რომ ე.წ. რეფერენდუმებით ტერიტორიების ანექსიის შემთხვევაში, მათ დასაცავად, შესაძლოა, სტრატეგიული ბირთვული იარაღიც გამოიყენონ“, – ვკითხულობთ ქართული საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებულ მოკლე ინფორმაციაში.

ყოველივე ზემოთქმული აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ პუტინი საბოლოოდ შეიშლება და შესაძლოა, ბირთვული იარაღის გამოყენების ღილაკს თითი დააჭიროს, თუმცა მანამდე ევროპას გაზი გადაუკეტა ანუ ცდილობს, დასავლეთი ამით დააშანტაჟოს და უკრაინის დახმარებაზე უარი ათქმევინოს.

ამ თემაზე, ევროპული გავლენიანი გამოცემები ბევრს წერენ. Foreign Policy-ის მიხედვით:

„ევროპა, გათბობის სეზონის დაწყების წინ, ყველაზე სერიოზული ენერგეტიკული კრიზისის წინაშეა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მართალია, ევროკომისიამ ევროპის ახალი ენერგეტიკული პროგრამა შეიმუშავა (რომელიც მოიცავს, როგორც ფასების მატების შეზღუდვას, ასევე, სუბსიდიებს მომხმარებლებისთვის და ელექტროენერგიის ეკონომიას), მაგრამ ეს ზომები მაინცდამაინც ძალიან არ განსხვავდება იმ პოლიტიკისგან, რის გამოც კონტინენტი ამ ენერგეტიკული ქაოსის ეპიცენტრში აღმოჩნდა“.

ისე, ევროპაში, გაზსა და ელექტროენერგიაზე ფასების მკვეთრი რყევა წინა წლებშიც იყო. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ, ევროპელმა პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს, რომ კურსი არ შეცვალონ.

ჯერ კიდევ, 2022 წლის 7 სექტემბერს, აღმოსავლეთის ეკონომიკურ ფორუმზე მყოფმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რუსეთი მზადაა, სრულად შეასრულოს თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებებიო, თუმცა იქვე დაამატა, რომ არ დაემორჩილება ზეწოლას და მისთვის არახელსაყრელ პირობებს.

„ზეწოლის შემთხვევაში, რუსეთი უარს იტყვის ენერგორესურსების მიწოდებაზე, – განაცხადა პუტინმა, – არაფერს არ მივაწვდით: არც ნავთობს, არც ნახშირს, არც მაზუთს და არც არაფერს. ერთი რუსული ზღაპარი გამახსენდა, სადაც მელია მგელს ურჩევს, რომ ზამთარში კუდით მდინარეში თევზი დაიჭიროს. თვითონ კი გვერდზე მიუჯდება და იმეორებს: „გაიყინე, გაიყინე მგლის კუდო“. თუ ევროპელები ამ გზით წავლენ, ისინი საკუთარ თავს, სწორედ ასე იგრძნობენ“, – წერს Foreign Policy-ი.

ამავე გამოცემის ვრცელ სტატიაში ნათქვამია:

„ევროკავშირი გაზის მწვავე დეფიციტს განიცდის, მიუხედავად იმისა, რომ მის ირგვლივ ბუნებრივი გაზის უდიდესი ექსპორტიორები არიან და მათ შორის არა მარტო რუსეთია, არამედ, ჩრდილოეთ აფრიკა, ცენტრალური აზია და სხვა რეგიონები. ევროკავშირს შეეძლო, საიმედოდ ეგრძნო თავი გაზით უზრუნველყოფის საკითხში, ნორმალური ფასებით, მაგრამ ახლა ის გაზის საბაზრო ფასებზეა დამოკიდებული. დღესაც კი, როცა ევროკავშირის ემისრები მსოფლიოში გაზის საძებრად დადიან, ისინი მაინც უარს ამბობენ გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმებაზე. აი, სულ ახალი ფაქტი: ამას წინათ, გერმანიის კანცლერი, ოლაფ შოლცი ყატარსა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში გაზის საყიდლად იმყოფებოდა, მაგრამ ბერლინში მხოლოდ ერთადერთი, თხევად გაზმზიდი ტანკერის კონტრაქტით დაბრუნდა. არადა, მას შეეძლო, საკუთარი ქვეყანა გაზით ხანგრძლივად უზრუნველეყო. გამოდის, რომ ევროპა თავისივე პოლიტიკის მძევლად იქცა.

„ჩრდილოეთის ნაკადი“ – რუსეთიდან ევროპისკენ მიმავალი მთავარი გაზსადენი, რომელიც ევროკავშირის წინააღმდეგ, კრემლის ენერგეტიკული ომის მთავარი იარაღი იყო, მწყობრიდან გამოიყვანეს ძალიან დიდი ხნით (თუ სამუდამოდ არა). სამი გაჟონვა, ორი – დანიის ზონაში და ერთი – შვედეთის ზონაში აღმოაჩინეს ამ კვირის დასაწყისში, ორ მთავარ წყალქვეშა გაზსადენში, რომლებიც ბუნებრივი აირის ევროპისთვის მისაწოდებლად გაიყვანეს. სავარაუდო აფეთქებების დროს, არცერთი მილსადენი არ მოქმედებდა, მაგრამ ისინი სავსე იყო გაზით, რომელიც 26 სექტემბრის ავარიის შემდეგ, ზღვაში ჩაედინებოდა. ნატომ და ევროკავშირმა გაჟონვა საბოტაჟად შეაფასეს.

გაზსადენები, რომელთა მშენებლობაზეც რუსეთმა მილიარდები დახარჯა, ბალტიის ზღვაში 100 მეტრამდე სიღრმეშია გაყვანილი. ამ წყალქვეშა არტერიებით რუსეთს გაზი ევროპისთვის უნდა მიეცა. „ჩრდილოეთის ნაკადი-1“ ექსპლუატაციაში 2011 წელს შევიდა, მაგრამ დივერსიის მომენტში ტრანსპორტირება შეჩერებული იყო“.

„... ეს ინციდენტები შემთხვევითობა არ არის. ის ინფორმაცია, რომელიც ამ დრომდე გვაქვს, მიუთითებს, რომ ეს წინასწარგანზრახული დივერსიაა, წინასწარი განზრახვით მიყენებული ზიანი“, – განაცხადა ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა, ვალდის დომბროვსკისმა, 28 სექტემბერს.

ნავთობისა და გაზის ანალიტიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე მიხაილ კრუტიხინი ამბობს, რომ რუსეთს ევროპის გაზით მომარაგებისთვის, „ჩრდილოეთის ნაკადისა“ და „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის გარდა, ასევე, აქვს სხვა მილსადენები, რომელთა ექსპლუატაციის რეჟიმი თვალსაჩინოს ხდის რუსეთის ენერგეტიკული ომის ტაქტიკასა და სტრატეგიას.

ევროკავშირში იმედოვნებენ, რომ პუტინის მოლოდინის მიუხედავად, არ გაიყინებიან, რადგან რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, ბევრი რამ გაკეთდა რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების დასაძლევად. კერძოდ:

ნორვეგია, მთავარი იმედი – ნორვეგია ევროპასა და, მათ შორის, გერმანიას აწვდის ნავთობისა და გაზის რეკორდულ მოცულობებს. გერმანიისთვის ნორვეგია, ამჟამად, გაზის სიდიდით პირველი მიმწოდებელია. მასზე მოდის გერმანიის ბუნებრივ აირზე მოთხოვნილების 30%-ზე მეტი. ნორვეგიამ მნიშვნელოვნად გაზარდა გაზის ექსპორტი უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ და ამით ჩაანაცვალა გაზის იმპორტის ნაწილი რუსეთიდან.

ასევე, წელს, იტალიამ, საფრანგეთმა და შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ალჟირთან, 25 წლის ვადით ნახშირწყალბადების ერთობლივ მოპოვებაზე. ალჟირი იტალიას 4 მილიარდი კუბური მეტრით მეტ გაზს მიაწვდის (ჯამში, 21 მილიარდ კუბურ მეტრს წელიწადში). იტალიამ, ასევე, წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები ანგოლასა და კონგოს რესპუბლიკასთან თხევადი გაზის შესყიდვაზე.

იმავდროულად, პოლონეთი სრულად გათავისუფლდა რუსული გაზისგან – პოლონეთი, რომელსაც რუსეთმა შეუწყვიტა გაზის მიწოდება, მის ნაცვლად, საჭირო 10 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს Baltic Pipe-ის გაზსადენით, ნორვეგიიდან, დანიის გავლით. ამ გაზსადენის ყველაზე რთული – ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვების ფსკერზე გამავალი მონაკვეთის მშენებლობა დასრულდა 2021 წელს...

სტრასბურგის სასამართლო დეკანოზ მამალაძის საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად გავიდა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

თორნიკე მამალაძე: „მგონია, რომ საპატრიარქო ჩემი ძმის პატიმრობიდან გათავისუფლების წინააღმდეგი არ უნდა იყოს!“

„ციანიდის სკანდალიდან“ თითქმის ექვსი წელი გავიდა. ალბათ, ყველას ახსოვს დილა, როცა ცნობილი გახდა, რომ მაღალი სასულიერო პირის ციანიდით მოკვლას მღვდელი ცდილობდა, თუმცა მოგვიანებით, სასამართლოზე გაირკვა, რომ მოწამვლის ობიექტი პატრიარქის მდივან-რეფერენტი, შორენა თეთრუაშვილი იყო. დეკანოზი გიორგი მამალაძე პროკურატურამ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, 2017 წლის 10 თებერვალს, მაშინ დააკავა, როცა ბერლინში გამგზავრებას ცდილობდა. მაშინ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს ოპერაციას სწორედ გერმანიაში უკეთებდნენ, სადაც იმყოფებოდა მისი მდივან-რეფერენტი, შორენა თეთრუაშვილიც. პროკურატურამ გაავრცელა ცნობა, რომ დეკანოზის ბარგში მომწამვლელი ნივთიერება - „ნატრიუმის ციანიდი“ იპოვეს. მალევე, ჟურნალისტ ირაკლი მამალაძის ჩვენებაზე დაყრდნობით, საგამოძიებო ორგანომ თქვა, რომ დეკანოზმა ჟურნალისტს ციანიდის შოვნაში დახმარება სთხოვა. ირაკლი მამალაძე ჩვენებაში აცხადებდა, რომ დეკანოზის მიზანი მაღალი იერარქიის სასულიერო პირის მკვლელობა იყო. მოგვიანებით, პროკურატურამ განმარტა, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე შორენა თეთრუაშვილის მკვლელობას გეგმავდა. საგულისხმოა, რომ ამ დრომდე არ არის გარკვეული, ვისგან, სად და რა ვითარებაში შეიძინა გიორგი მამალაძემ ციანიდი. 2017 წლის სექტემბერში, სასამართლომ გიორგი მამალაძე მკვლელობის მომზადებაში დამნაშავედ სცნო და ცხრაწლიანი პატიმრობა შეუფარდა. ამასთან, მოსამართლემ ბრალდების კვალიფიკაცია შეცვალა და დეკანოზს ანგარებით მკვლელობის მუხლი მოუხსნა. დეკანოზი, ასევე, დამნაშავედ სცნეს იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვაში. თავად ბრალდებული განაჩენის გამოცხადებას არ დასწრებია. განაჩენის თანახმად, გიორგი მამალაძე ამზადებდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მდივნის, შორენა თეთრუაშვილის მკვლელობას. ამ ბრალდებასა და სასამართლო გადაწყვეტილებას კატეგორიულად უარყოფენ გიორგი მამალაძის ადვოკატები და რადგან საქართველოში სამართალს ვერ მიაღწიეს, „ციანიდის საქმე“ სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნეს.

„ვერსია“ დეკანოზ გიორგი მამალაძის ძმას, თორნიკე მამალაძეს დაუკავშირდა, რათა გაერკვია, როგორია დაკავებული მამალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა და როდის გამოაქვეყნებს სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლო „ციანიდის საქმეზე“ გადაწყვეტილებას:

– ჩემი ძმა უკვე ოთხი წელია, პარალიზებულია. სამწუხაროდ, ვერ მკურნალობენ, რადგან იმ დაწესებულებაში, სადაც სასჯელს იხდის, ამ დაავადების პროფესიონალები არ არიან. ამიტომ მისი მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. დეკანოზს დამოუკიდებლად გადაადგილება და ჯდომა არ შეუძლია. საკაცის საშუალებით გადაჰყავს რამდენიმე ადამიანს.

– არსებობს სამედიცინო დასკვნა მისი მდგომარეობის შესახებ?

– კი, რა თქმა უნდა, რამდენიმე ექსპერტის დასკვნა არსებობს, რომ ამ მდგომარეობაშია. სასჯელაღსრულების სტრუქტურამ რამდენჯერმე გადაიყვანა „ავერსის“ კლინიკაში, გამოკვლევები ჩაუტარეს და როგორც ოჯახის დაკვეთით ჩატარდა ექსპერტიზა, ასევე, თავადაც უტარებდნენ გამოკვლევებს.

– როგორც მახსოვს, სასამართლოს მიმართეთ თქვენი ძმისთვის სასჯელის გადავადების მოთხოვნით. რა გადაწყვეტილება მიიღეს?

– მაშინ სასამართლომ რეკომენდაცია გასცა, რომ უნდა უმკურნალონ იმ დაწესებულებაში, სადაც იმყოფება, მაგრამ ეს ფიზიკურად შეუძლებელია, რადგან რა დაავადებაც მას სჭირს, იმის ექიმები არა თუ ამ დაწესებულებაში, არამედ, მთელ საქართველოში არ არიან. ამიტომ გვინდა, ეს ადამიანი გამოვიყვანოთ, რადგან უკვე ხუთი წელი და რვა თვეა, ციხეში იმყოფება და შესაძლებელია, რაღაც შეღავათი შეეხოს და შევძლოთ, გადავიყვანოთ საზღვარგარეთ სამკურნალოდ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნას.

– მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა როგორია? როგორი განწყობა აქვს და რას ფიქრობს ხუთი წლის შემდეგ იმ საქმეზე, რისთვისაც სასჯელს იხდის?

– როცა მის სანახავად შევდივარ, ერთი საათი მაქვს ხოლმე დრო... ბოლო დღეებში, მის ორ შვილს ჰქონდა დაბადების დღე, ექვსი წელია, არ უნახავს არცერთი შვილი. უმცროსს თითქმის არ იცნობს, რადგან ხუთი წლის იყო, როცა დააპატიმრეს. აქედან გამომდინარე, ჩვენი საუბარი შეეხება მხოლოდ ოჯახის წევრებს. მეკითხება, როგორ იზრდებიან თავისი შვილები. ის წლები, რაც დაკარგა ოჯახთან მიმართებაში, სურს, რომ აანაზღაუროს და ჯანმრთელობას მიხედოს. სურს, რომ თავის ოჯახთან გაატაროს დარჩენილი ცხოვრება.

– საინტერესოა, საპატრიარქოდან თუ შედის ვინმე, კითხულობენ მის მდგომარეობას?

– ვფიქრობ, რომ მისი განთავისუფლების წინააღმდეგი არ უნდა იყვნენ, ეს ჩემი აზრია. რადგან ყველამ იცის, რომ არის ავად და სჭირდება მკურნალობა, რისი წინააღმდეგიც არავინ უნდა იყოს.

– კომუნიკაცია არ გქონიათ, რომ მათი ამჟამინდელი პოზიცია გაგეგოთ?

– არა, კომუნიკაცია არ მქონია... არის სხვადასხვა გზა: სამაჯურით გამოშვება, „უდო“, ვადამდე ადრე გათავისუფლება... ვფიქრობ, ოფიციალურ სახეს თუ მივცემთ უახლოეს პერიოდში, შემდეგ, შესაძლოა, მქონდეს კომუნიკაცია ან თავად ისურვონ და დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია.

– რამემ გაგიჩინათ იმის იმედი, რომ საპატრიარქო დაგეხმარებათ?

– იმედებს არავისზე და არაფერზე ვამყარებ. უბრალოდ, ვამბობ, რომ დეკანოზი არის რთულად, მას ჰყავს ოჯახი, სჭირდება მკურნალობა და ვფიქრობ, არავინ უნდა იყოს წინააღმდეგი.

– აღსანიშნია, რომ არაერთხელ მიმართეთ პრეზიდენტებს – გიორგი მარგველაშვილსა და სალომე ზურაბიშვილს თხოვნით, მაგრამ არც ერთმა მათგანმა თქვენი ძმა არ შეიწყალა – როგორ აფასებთ ამ საკითხს და რა ეტაპზეა საქმის განხილვა სტრასბურგის სასამართლოში?

– მოკლედ შემოვიფარგლები, შეფასებებისგან ამ მომენტში თავს შევიკავებ. გეტყვით, რა ეტაპზეა სტრასბურგის სასამართლოში საქმე – გადაწყვეტილების მისაღებად არიან უკვე გასულები, საქმის განხილვა დასრულდა.

– როდის მიიღებენ გადაწყვეტილებას, შეგატყობინეს?

– როგორც იურისტებმა ამიხსნეს, გადაწყვეტილების მისაღებად გასვლიდან, მინიმუმ, ექვს თვეში. მოკლედ, ოქტომბრიდან ანუ თითქმის ყოველდღე ველოდებით გადაწყვეტილებას.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რითი სჯობს „ოცნების“ მმართველობის ათი წელი ენმ-ს ცხრა წელს



შედარებითი დახასიათება რამაზ საყვარელიძისგან

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან ათი წელი შესრულდა. მმართველ პარტიაში აცხადებენ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სახელმწიფო სუვერენიტეტი განმტკიცდა. პარტიის სახელით გავრცელებულ განცხადებაში გაკრიტიკებულია წინა ხელისუფლება, რომელიც საქართველოს ათი წლის წინ მართავდა:

„დღეს, ქართული სახელმწიფო არის სუვერენული, როგორც არასდროს. სწორედ სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცების შედეგია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება არის პირველი საქართველოს უახლოეს 30-წლიან ისტორიაში, რომლის მმართველობის პირობებში, ქვეყანას ომი არ ჰქონია. ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება, ეკონომიკის განვითარება და მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხის ამაღლება, ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის მტკიცე დაცვა, სამშობლოსა და ეკლესიის სიძლიერეზე ზრუნვა არის ის უმთავრესი პრინციპები, რომლებსაც „ქართული ოცნების“ საქმიანობა მომავალშიც დაეფუძნება“.

განცხადებაში, ასევე, აღნიშნულია მმართველი პარტიის დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის დამსახურება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლების შეცვლის პროცესში:

„ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტი, დემოკრატია, ადამიანის ძირითადი უფლებები, ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა, ჭეშმარიტი ევროპული ღირებულებები, სამშობლოს სიყვარული და ეკლესიის პატივისცემა მისთვის ყველაზე ფასეული და უზენაესია. ზუსტად ათი წლის წინ, ქართველმა ხალხმა, ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, გაიმარჯვა დანაშაულებრივ ავტორიტარულ რეჟიმზე, რომელიც ყველა ზემოხსენებულ ფასეულობას ებრძოდა და ფეხქვეშ თელავდა“.

პარტია „ქართულმა ოცნებამ“, რომელიც საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე დააფუძნა ბიძინა ივანიშვილმა, 2012 წლის 1-ელ ოქტომბერს, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება შეცვალა. ამ არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 54.97% მიიღო, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი – 40.34%. ამ არჩევნების ჩატარებიდან თითქმის ორი წლის შემდეგ, „ქართული ოცნების“ რიგებს პარლამენტში შეუერთდა „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით არჩეული დეპუტატების ნაწილი.

„ოცნების“ ათი წელი „ვერსიამ“ ანალიტიკოს რამაზ საყვარელიძეს შეაფასებინა:

„რასაც ხაზს უსვამენ ხოლმე, როგორც წარმატებას, ეს არის მშვიდობიანობის ათი წელი და მშვიდობა რომ სჯობს, აქედან გამომდინარე, მიღწევაა. მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი იყო შიდა სიტუაციაც, მაგრამ გვახსოვს გამუდმებული დაძაბულობა, რასაც პოლარიზება უწოდეს უცხოელებმა და პოლარიზებას ვერ დავაბრალებ „ოცნებას“, რადგან ინტერესი რევოლუციური სცენარის აღსრულებისა ჰქონდა მის ოპონენტ პარტიას. სხვა მხრივ, ბევრი რამ, რაც გაკეთდა – გზები, მშენებლობები და ა.შ. შემთხვევით გაიგო საზოგადოებამ ანუ ხმის მიწვდენა უჭირთ საზოგადოებამდე, PR-ისა და პოლიტიკურ დისკუსიებში მონაწილეობის პრობლემა აქვთ. უცხოეთთან ურთიერთობაშიც, ასევე, PR-ის პრობლემაა, ვერაფრით გადალახეს ის ბარიერი, რომ არსებობს უცხოელების ნაწილი, რომლებიც მათდამი კრიტიკულად არიან განწყობილნი და ვერ შეარბილეს ეს განწყობა. ინიციატივებიც ნაკლები აქვთ. ცხრა წელი იყო სააკაშვილი ხელისუფლებაში და ათი წელია, „ქართული ოცნებაა“, თუ შევადარებთ მშენებლობების რიცხვსა და ინიციატივებს ამა თუ იმ მიმართულებით, იმდენი არ აქვს „ოცნებას“, რაც ჰქონდა სააკაშვილს, თუმცა ხშირად, სააკაშვილის ინიციატივით აშენებული შენობები დეკორაციული იყო. „ოცნებასთან“ ასეთი დეკორატიულობა არ შეგვხვედრია, მაგრამ ინიციატივები ამ მიმართულებით ცოტაა.

ეს ყველას არ ეხება, კახი კალაძე ენერგიული და ინიციატივიანი მერია და PR-იც საზოგადოებას ატყობინებს ყველაფერს, რასაც მერია აკეთებს. რასაც კალაძე ახერხებს, ამას სხვები რომ ვერ ახერხებენ, ეგაა ხარვეზი“.

საყვარელიძე ნაციონალური მოძრაობის მმართველობის ცხრა და „ოცნების“ მმართველობის ათ წელს ადარებს:

„ერთადერთი, ძირითადი განსხვავება ისაა, რომ არ არის ძალადობა ქვეყანაში ხელისუფლების მხრიდან, რაც წინა ხელისუფლების დროს, თითქმის დაკანონებული იყო – ძალადობა პიროვნებებზე, ბიზნესსა და საზოგადოებაზე“.

რაც შეეხება გაძვირებულ ფასებსა და გაძნელებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, საყვარელიძე აცხადებს, რომ ამ თვალსაზრისით, ფინანსური კრიზისი მთელ მსოფლიოშია, ომისა და პოსტკოვიდური პანდემიის გამო:

„იქამდე, სანამ ეს ორი ფაქტორი ამოქმედდებოდა, უამრავი დრო დაიხარჯა ისე, რომ არ შეიქმნა ეკონომიკური მდგომარეობის მყარი საფუძველი, საწარმოების შექმნით. ამიტომ, უმუშევრობის პრობლემა დარჩა ისე, როგორც იყო. მნიშვნელოვანია ეს პრობლემა იმდენად, რამდენადაც ინდუსტრიალიზაცია თუ არ დაიწყო, მარტო სოფლის მეურნეობა და ტურიზმი ქვეყანის ეკონომიკას ვერ წასწევს წინ და ვერც განავითარებს. მაგალითად, ჩინეთში ტურიზმიცაა და სოფლის მეურნეობაც, მაგრამ ვხედავთ, რომ წარმოების ინტენსიურ გაფართოებაზე გადავიდნენ, რადგან სხვაგვარად, ძლიერი ეკონომიკის შექმნა წარმოუდგენელია“.

რამაზ საყვარელიძე ქვეყანაში შექმნილ პოლარიზებულ გარემოზე ვრცლად საუბრობს და აცხადებს, რომ 2024 წლის არჩევნებისთვის, პოლარიზების კიდევ უფრო გამწვავებას არ ელის:

„არ მგონია, პოლარიზაციის თემა წამყვანი იყოს. რაც მრავალპარტიულობა შემოვიდა, სულ არის პოლარიზაცია ჩვენს ქვეყანაშიც და მსოფლიოშიც. ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული არაფერი ხდება, ამ მხრივ. როცა სამოქალაქო ომი იყო და თოფს ესროდნენ ერთმანეთს, მაშინ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მდგომარეობა იყო პოლარიზაციის გამო. ახლა კი, ჯერ-ჯერობით, არის პოლარიზაცია, როგორც თანმხლები მოვლენა. სიტუაციის გართულებას არ ვპროგნოზირებ 2024 წლის არჩევნებისთვის“.

რა შანსი აქვს მმართველ პოლიტიკურ ძალას მომავალ არჩევნებში? საყვარელიძის პროგნოზი ასეთია:

„ეს ხელისუფლება გაიმარჯვებს, სამწუხაროდ, რადგან ოპოზიცია არ არსებობს. არა იმიტომ, რომ დაჯაბნა ხელისუფლებამ, არამედ, თვითონ ოპოზიციაა უხარისხო. თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ასეა, ერთი პარტია ხდება წამყვანი და დანარჩენები ჩამქრალნი არიან. ეს ასაკობრივი ავადმყოფობაა და რომ გაიზრდება „სტაჟი“, გადაივლის“.

რაც შეეხება ყოფილ სახელისუფლებო და ამჟამინდელ მთავარ ოპოზიციურ ძალას, რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ ენმ ვერ შეძლებს „ქართული ოცნების“ დამარცხებას:

„მოსახლეობას აღარ უნდა, მოიყვანოს ხელისუფლებაში ეს ძალა, რადგან მისი ძალადობა ახსოვს. ძლიერი ახალი პარტია კი არ ჩანს. ეს ცუდია თვითონ „ოცნებისთვის“ და საქართველოსთვისაც, რადგან დიდი ხნის მანძილზე, ერთი და იგივე პარტიის ხელისუფლებაში ყოფნა ძნელია, როცა ამდენი პრობლემაა გარშემო, მაგრამ ამისთვის უნდა არსებობდეს ალტერნატივა. ახალი პოლიტიკური ძალა უნდა გამოჩნდეს, თორემ ფაქტია, ერთპარტიული გახდა პოლიტიკური გარემო. თუმცა ახალი ძალის გამოჩენის ვერანაირ ნიშანს ვხედავ ახლა. საზოგადოებაში ამის ნიადაგი არის, რადგან ხალხი ეძებს ახალ ძალას, მაგრამ მხოლოდ ნიადაგი არ შველის ამ საქმეს. ასე რომ, დღევანდელი დღის სიტუაციით, „ოცნება“ უკონკურენტო ჩანს“.

მაკა რუხაძე

აჭარაში განხორციელებული აუდიტის ანგარიშებს გენერალური პროკურატურა სწავლობს

აუდიტის რომელი ანგარიშები გადაუგზავნა უწყებამ გენერალურ პროკურატურას

ბათუმის, ხელვაჩაურის, ქობულეთის მერიისა და აჭარის სამინისტროების საქმიანობას პროკურატურა შეისწავლის. ანგარიშები, რომლებიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა, თავის დროზე, „ვერსიაში“ დეტალურად გვაქვს განხილული. 2021-2022 წლებში, პროკურატურაში გადაგზავნილია ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ 2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემური შესაბამისობის აუდიტი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი; ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში. მოდით, თვალი გადავავლოთ აუდიტის მიერ გამოვლენილ იმ დარღვევების ნაწილს, რომლებიც გენერალურმა პროკურატურამ უნდა შეისწავლოს.

ბათუმის მერია

დავიწყოთ ბათუმის მერიის აუდიტით, რომლის მიხედვით, მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს უნებართვო მშენებლობების შეჩერებას და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონო გამოყენებას, რაც არამართლზომიერი ქმედების რისკებს წარმოშობს. სახელმწიფო აუდიტორების საპასუხოდ, ბათუმის მერიაში აცხადებენ, რომ ნაკლოვანებების ნაწილი, რაც ქვეყნის მთავარმა მაკონტროლებლებმა დააფიქსირეს, პანდემიის ბრალია. რაც მთავარია, აუდიტის დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი ბათუმის მერიამ 2021 წელს უკვე შეასრულა, ხოლო რეკომენდაციების ნაწილს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახლაც ასრულებენ.

„ბათუმის მუნიციპალიტეტის სუსტი შიდა კონტროლის პირობებში, არარაციონალურად გახარჯულია საწვავი. არ არის დაცული მთავრობის მიერ შემუშავებული რეგულაციები სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა 20 916 ლარამდე საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა. ყოველივე ეს, ავტოპარკის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ ერთიანი პოლიტიკის განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებაა და ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ და რაციონალურ ხარჯვას... მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სხვა დაწესებულებების დაკვეთით აშენებული 68.8 მილიონი ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობების აღრიცხვასთან დაკავშირებით არსებული შეუთანხმებელი საკითხები უარყოფითად მოქმედებს აქტივების მოვლასა და სათანადო ექსპლუატაციაზე, რამაც შესაძლოა დამატებითი ფინანსური ხარჯები გამოიწვიოს“, - ვკითხულობთ აუდიტის ანგარიშში.

ამავე ანგარიშიდან ირკვევა, რომ აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა ბათუმის ნაპირდაცვის პროექტი, რომლის ღირებულება 55 000 006 ლარი იყო. ბათუმის მერიის წარმომადგენლის მიერ, სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ სანაპირო ზოლზე აშენდა 1 750 მეტრი სიგრძის ნაპირსამაგრი ნაგებობა ანუ ქვის წყობა, დაიგო ბულვარის ახალი საფარი, პლაჟი შეივსო ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით. ნაპირსამაგრი სამუშაოების დასრულების შემდეგ კი წამოიჭრა საკითხი ქონების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით.

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პოზიციის შესაბამისად, ნაპირსამაგრი ნაგებობა შედის ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიღება-ჩაბარების აქტით უნდა გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს. შემდგომში მერიამ უნდა განახორციელოს პროექტის ფარგლებში შექმნილი ქონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, მათ შორის, სანაპირო ზოლის კვება ანუ ინერტული მასალის შეტანა. ბათუმის მერიის განმარტებით კი, შესაბამისი დახმარების გაწევის გარეშე, ის ვერ აიღებს პასუხისმგებლობას აღნიშნული საქმიანობის განხორციელებაზე. მერიის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული ნაგებობა აუდიტის პერიოდისთვის არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, თუმცა, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან შეთანხმებით, დაგეგმილია სათანადო ღონისძიებების გატარება ობიექტის მიღებისა და ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად“.

აუდიტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე ირიცხება ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული 13 337 285 ლარის საწყისი ღირებულების ნაპირსამაგრი ნაგებობები, რომელთა ქალაქ ბათუმის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, სააგენტოს არაერთი მიმართვის მიუხედავად, მერიამ უძრავი ქონება არ მიიღო.

ქობულეთის მერია

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ქობულეთის მერიას არ ჩაუტარებია ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 19 523 656 ლარს შეადგენდა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული ინვენტარიზაცია არ მოიცავდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ყველა უძრავ ქონებას, რომლის ინვენტარიზაცია, მოქმედი რეგულაციების თანახმად, სამ წელიწადში ერთხელ მაინც ტარდება. ინვენტარიზაციის დადგენილი წესით ჩაუტარებლობის გამო, მუნიციპალური ქონების ნაწილი ჯერ კიდევ არ ირიცხება მუნიციპალიტეტის ბალანსზე.

„გარდა ამისა, 8 ინფრასტრუქტურული პროექტის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული იყო არსებული აქტივების დემონტაჟი და ამის შედეგად მიღებული ვარგისი სამშენებლო მასალისა და სხვა დაუზიანებელი აქტივის დასაწყობება. შესაბამის მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციით, დემონტაჟის სამუშაოები შესრულებულია და ქონება დასაწყობებულია, თუმცა მათი ინვენტარიზაცია და მუნიციპალიტეტის ბალანსზე ასახვა არ მომხდარა. აღსანიშნავია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია ვარგისი ქონების ფაქტობრივი მდგომარეობის, მოცულობისა და განთავსების ლოკაციების თაობაზე. გამომდინარე ქონების დემონტაჟის შემდეგ გასული პერიოდისა, მაღალია რისკი, რომ ქონება განადგურებულია ან/და იმყოფება მესამე პირების არამართლზომიერ მფლობელობაში. აღნიშნულის გამო, აუდიტის ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ქონების იდენტიფიცირება და ინვენტარიზაცია“.

ხელვაჩაურის მერია

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ხელვაჩაურის მერიამ 2 884 841 ლარის ღირებულების მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა განახორციელებინა გამოცდილების არმქონე იურიდიულ პირს, რომელსაც საბაზრო ფასთან შედარებით, ზედმეტად გადაუხადეს 194 586 ლარი, ხოლო სატრანსპორტო ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, 45 064 ლარი აანაზღაურეს. აუდიტის ანგარიშის მიხედვით, ამ საცხოვრებელი სახლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა 2019 წელს. სახლი ეკომიგრანტებისთვის იყო განკუთვნილი.

„წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მიმწოდებელს - შპს „მშენებელთა ჯგუფს“, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის შესაბამისი გამოცდილება არ გააჩნია და ფაქტობრივად, ეს სამუშაო მას არ შეუსრულებია. საპროექტო დოკუმენტაცია მოამზადა და პროექტის ინსპექტირება განახორციელა მესამე მხარემ და რეალური ღირებულება შეადგენს 75 000 ლარს. აღნიშნული დასტურდება ქვეკონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, თუმცა მერიას ამ მომსახურებისათვის მიმწოდებელზე გადახდილი აქვს 10 000 ლარით მეტი ანუ 85 000 ლარი“.

აუდიტის ანგარიშით ისიც ირკვევა, რომ ამასთან ერთად, გენერალური პროკურატურა ხელვაჩაურში, წყალმომარაგების კუთხით შესრულებული სამუშაოებითაც უნდა დაინტერესდეს. მიზეზი აუდიტის ანგარიშში დეტალურადაა ახსნილი:

„ხელვაჩაურის ორ სოფელში ჭაბურღილის მოწყობისთვის, წყლის რესურსის განსაზღვრის მიზნით, გეოლოგიური კვლევისათვის, ბიუჯეტიდან გადახდილია 45 000 ლარი. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მერიამ სოფელ განახლებაში, წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოებზე გასწია 134 829 ლარის ხარჯი, რომელიც მოიცავდა სატუმბის, რეზერვუარისა და საქლორატოროს მშენებლობას, ასევე, მაგისტრალის არსებულ ჭაბურღილზე დაერთებას, თუმცა განხორციელებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსახლეობას სასმელი წყალი არ მიეწოდებოდა. მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, აღნიშნული გამოწვეულია წყლის მარაგის დაწევით, თუმცა შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთება ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთან ერთად, ანალოგიური მიზეზის გამო, არ გამოიყენება მეორე სოფელში მოწყობილი ჭაბურღილიც“...

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია ტურისტულ სექტორში

მაკა რუხაძე

ვის და რატომ დააკისრა ფინანსური სანქცია კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ

ტურისტული მომსახურების სექტორში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევა დადასტურდა. საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, ტურისტულ სექტორში დაწყებული მოკვლევა დაასრულა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტიც დაადასტურა. საკითხი ეხებოდა თბილისში, ტურისტებისთვის, ქალაქის ტურის მომსახურების სექტორში ორი კომპანიის დავას. მოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ შპს „ბი ეს თი“ უკანონოდ იყენებდა მომჩივანის – შპს „ეს.ი.ეი“-ს იდენტურ სასაქონლო ნიშნებსაც და სატრანსპორტო საშუალებების იერსახესაც. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, შპს „ბი ეს თი“-ს დაეკისრა ფინანსური სანქცია – 284.22 ლარის ოდენობით და რაც მთავარია, დაევალა კანონდარღვევის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მოკვლევის შედეგები და გადაწყვეტილება საკმაოდ ვრცელი, დაახლოებით, 40-გვერდიანი დოკუმენტია. ბუნებრივია, ამ დოკუმენტის ერთ საგაზეთო სტატიაში წარმოდგენა შეუძლებელია, ამიტომ, „ვერსია“ ტურისტულ სექტორში დაფიქსირებული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტზე დაწყებული მოკვლევის შედეგებსა და გადაწყვეტილებას შემოკლებით გთავაზობთ.

შპს „ეს.ი.ეი“-ს საჩივარი

2022 წლის 10 მარტს, საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში, შპს „ეს.ი.ეი“-მ (დირექტორი, გერმანე ჭელიძე) შეიტანა საჩივარი, რომელიც ეხებოდა შპს „ბი ეს თი“-ს (დირექტორი, გიორგი კვიჟინაძე) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტს. საჩივრის საფუძველზე, სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 11 აპრილის №04/40 ბრძანების შესაბამისად, სააგენტომ დაიწყო მოკვლევა „ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედების აკრძალვის“ სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

„მომჩივანი ეკონომიკური აგენტი აპელირებდა შპს „ბი ეს თი“-ს მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გზით კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის ფაქტზე. შპს „ეს.ი.ეი“ აღნიშნავს, რომ ის 2013 წლიდან მოღვაწეობს საქართველოში ბრენდული სახელწოდებით World Sightseeing Tour, რომელიც თავის მხრივ, პარტნიორულ ურთიერთობაშია ბრიტანულ კომპანია City Sightseeing Limited-თან და ეწევა ტურისტულ მომსახურებას, როგორიცაა პერსონალური, გასტრონომიული, თუ რელიგიური ტურებისა და ექსკურსიების მოწყობა, გიდით მომსახურება და სხვა. მისი ძირითადი მიმართულებაა, თბილისის მასშტაბით, სპეციალური ავტობუსით ტურების მოწყობა. ამასთან, განმარტავს, რომ კომპანიის ბრენდული ნიშანი და დიზაინი დაცულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“, სასაქონლო ნიშნად.

მომჩივანი განმარტავს, რომ შპს „ეს.ი.ეი“-ს ყოფილმა თანამშრომელმა. 2016 წლიდან დააარსა შპს „ბი ეს თი“, ბრენდული სახელწოდებით Old Tbilisi Tours, რომელიც ასევე სთავაზობს ტურისტულ მომსახურებას მომხმარებლებს. ეს კომპანია და მისი ავტოსაშუალების დიზაინი, ფაქტობრივად, იდენტურია შპს „ეს.ი.ეი“-სა. კომპანია იყენებს განმცხადებლის მიერ კანონით დაცულ სასაქონლო ნიშნის იდენტურ ნიშნებს. მეტიც, ტურისტული ავტობუსის ფერი, მასზე დატანილი ნიშნები, ბრენდული სახელწოდების მოყვანილობა, დიზაინი, შიდა ინტერიერი, ბილეთების გასაყიდი ჯიხური და სარეკლამო ბროშურები თითქმის იდენტურია. ამასთან, მომჩივანის განმარტებით, ავტობუსების გაჩერებებს შორის დისტანციაც კი ძალიან მცირეა“, – ვკითხულობთ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ბრძანებაში.

ამ გარემოებების შედეგად, მომჩივან კომპანიას ადგება სერიოზული რეპუტაციული და ფინანსური ზიანი, ვინაიდან მსგავსება იმდენად ძლიერია, რომ მომხმარებლისთვის ორი კომპანიის სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტებად იდენტიფიცირება ვეღარ ხდება და მომჩივანის შეფასებით, შპს „ბი ეს თი“ – ს მხრიდან ირღვევა საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ.

შპს „ბი ეს თი“-ს პოზიცია

2022 წლის 11 მარტის N02/187 წერილით, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ შპს „ბი ეს თი“-ს დირექტორს აცნობა, რომ 2022 წლის 10 მარტს, საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში შევიდა შპს „ეს.ი.ეი“-ს საჩივარი, სადაც მოპასუხე მხარედ დაფიქსირებული იყო შპს „ბი ეს თი“. წერილთან ერთად, გადაიგზავნა წარდგენილი საჩივარი, დანართის სახით და ეთხოვა პოზიციის მოწოდება შვიდი სამუშაო დღის ვადაში.

„მოპასუხემ, 2022 წლის 24 მარტს, ელექტრონულად დაადასტურა N02/187 წერილის მიღება, თუმცა არ წარმოუდგენია საკუთარი პოზიცია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შპს „ბი ეს თი“-ს, წერილობით კიდევ ორჯერ ეთხოვა წარმოედგინა საკუთარი პოზიცია, რაზეც სააგენტოში წარმოდგენილ იქნა მხოლოდ ერთი საპასუხო წერილი, რომელშიც მხარე მხოლოდ მოკლედ ხსნის, რომ მის კომპანიას საერთო არაფერი აქვს მომჩივან კომპანიასთან: ტურის შინაარსი, სახელი, ლოგო, გიდის ფორმატი და ფასები განსხვავებულია. დაწყებული მოკვლევის ფარგლებში, მ/წ 7 ივლისს დაინიშნა ახსნა-განმარტებითი სხდომა შპს „ბი ეს თი“-თან, რომლის შესახებაც კომპანიას ეცნობა 28 ივნისის წერილით. თუმცა, მოპასუხე მ/წ 7 ივლისს, ახსნა-განმარტებით სხდომაზე არ გამოცხადდა, რის გამოც ეს სხდომა ჩაიშალა“.

გარდა ამისა, მიმდინარე წლის 20 სექტემბერს ჩანიშნულ შემაჯამებელ სხდომაზე, სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტი – საქმის მასალებთან ერთად, ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნა მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს – შპს „ბი ეს თი“-ს. ადრესატმა არ დაადასტურა გაგზავნილი შეტყობინება, რის გამოც მოგვიანებით სააგენტომ დაბარების შეტყობინება გააგზავნა საქართველოს ფოსტის საშუალებით, შპს „ბი ეს თი“-ს იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართებზე, თუმცა აღნიშნული წერილი ადრესატს არ ჩაბარდა.

„2022 წლის 9 აგვისტოს, სააგენტოს წარმომადგენლები შეეცადნენ, შპს „ბი ეს თი“-სთვის ჩაებარებინათ აღნიშნული დოკუმენტაცია მოპასუხე ეკონომიკური აგენტის საქმიანობის ადგილზე, კერძოდ, თბილისში, პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოპასუხის კუთვნილი ტურისტული ჯიხურისა და ავტობუსების გაჩერების ადგილზე. სააგენტოს წარმომადგენლებს ადგილზე დახვდათ შპს „ბი ეს თი“-ს თანამშრომელი, რომელიც კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს გაეცნო, როგორც მოპასუხე ეკონომიკური აგენტის პრომოუტერი. მან უარი განაცხადა დოკუმენტაციის ჩაბარებაზე და აღნიშნა, რომ შპს „ბი ეს თი“-ს დირექტორი არ იმყოფებოდა ადგილზე. სააგენტოს წარმომადგენელი მოპასუხე ეკონომიკური აგენტის დირექტორს დაუკავშირდა ტელეფონით, თუმცა მან უარი განაცხადა დოკუმენტაციის ჩაბარებაზე“.

ვინაიდან, მოპასუხეს დოკუმენტაცია ვერც – ფოსტით, ვერც – ელექტრონული ფოსტით და ვერც ადგილზე მიტანით ვერ მიაწოდეს, შემოსავლების სამსახურსა და საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს შორის, 2022 წლის 7 სექტემბერს გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, მიმდინარე წლის 9 სექტემბერს, შემოსავლების სამსახურმა ეს მასალები „სავალდებულოდ წასაკითხის“ სტატუსით, ავტორიზებული გვერდის საშუალებით გადაუგზავნა შპს „ბი ეს თი“-ს, რომელიც ამ უკანასკნელმა, 15 სექტემბერს მიიღო.

კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება და სანქცია

2022 წლის 09 ივნისს, მომჩივანის – შპს „ეს.ი.ეი“-ს წარმომადგენელთან, კონკურენციის სააგენტოში გაიმართა ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომა მომჩივანის წარმომადგენელთან.

დასასრული მე-8 გვერდზე

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია ტურისტულ სექტორში

მე-7 გვერდიდან

კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შპს „ეს.ი.ეი“ იყენებს მხოლოდ World Sightseeing Tours-ისა და Tickets and Tours-ის სასაქონლო ნიშნებს, რომლებიც დარეგისტრირებულია „საქპატენტში“. გარდა ამისა, კომპანია იყენებს ავტობუსის დიზაინს, რომელიც ბრიტანული კომპანია City Sightseeing Limited-ის სასაქონლო ნიშანია, თუმცა სახელშეკრულებო ურთიერთობა ორ კომპანიას შორის არ არსებობს და ადგილი აქვს არაფორმალურ, პარტნიორულ ურთიერთობას.

„მხარეები ინფორმაციას ცვლიან მხოლოდ ელექტრონულად, რომელიც სრულად კონფიდენციალურია. შპს „ეს.ი.ეი“-ს ბუკლეტები, ავტობუსებზე წარწერები და ოფისის აბრევიატურა ზემოაღნიშნული ორი სასაქონლო ნიშნისაგან შედგება. მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანა გამოწვეულია ავტობუსების შეფერილობისა და სასაქონლო ნიშნების მსგავსებით. კერძოდ, ასოების მოყვანილობითა და ფერით. ასევე, ავტობუსების განთავსება ხდება ერთსა და იმავე ადგილას. რაც შეეხება ფინანსურ ზარალს, აღინიშნა, რომ სირთულის გამო, მომჩივანის მხრიდან, ზარალის ოდენობა დადგენილი არ არის. მატერიალური ზარალი გამოიხატება იმაში, რომ კონკურენტი კომპანიის პოლიტიკის გამო, შპს „ეს.ი.ეი“ კარგავს პოტენციურ მომხმარებელს. მომჩივანი უთითებს, რომ მისთვის გადამწყვეტია რეპუტაციული ზიანი, ვინაიდან შეცდომაში შესული მომხმარებლების მიერ დაწერილი არასასურველი კომენტარები რეპუტაციულ ზიანს აყენებს კომპანიას“.

მომჩივანის წარმომადგენელმა სხდომაზე აღნიშნა, რომ მომჩივანსა და მოპასუხეს შორის არსებობდა სიტყვიერი შეთანხმება, მოპასუხის მხრიდან სადავო ქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით, თუმცა მოპასუხე კვლავ აგრძელებს იგივე ქმედებას და შპს „ეს.ი.ეი“-ს ისევ ადგება რეპუტაციული და მატერიუალური ზიანი.

„მოცემულ შემთხვევაში, დადგინდა შპს „ბი ეს თი“-ს მხრიდან კანონის დარღვევა – ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებები. ამ კანონდარღვევისთვის საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა სანქციის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას. კერძოდ, კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ეკონომიკურ აგენტს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 1%-ს, ხოლო აღნიშნული დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის, ან ამ დარღვევის განმეორების შემთხვევაში – 3%-ს. ამდენად, კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს სამართალდამრღვევი პირისათვის დასაკისრებელი ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობას. კერძოდ, ჯარიმის ზედა ზღვარი შეადგენს ეკონომიკური აგენტის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 1%-ს. ამასთან, ჯარიმის მინიმალურ ოდენობას კანონი არ განსაზღვრავს. კონკრეტულ შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 1%-ის ფარგლებში, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრა წარმოადგენს სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. ვინაიდან მინიმალური ოდენობა კანონით განსაზღვრული არ არის, ჯარიმის ზოგადი საზღვრებიც დგინდება სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 1%-ის ფარგლებში“.

კონკრეტულად ამ შემთხვევაში, სამართალდამრღვევ სუბიექტს წარმოადგენს შპს „ბი ეს თი“, რომლის მიმართაც, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა კანონდარღვევა. აქედან გამომდინარე, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, სამართალდამრღვევისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ზოგადი ზედა ზღვარი შეადგენს შპს „ბი ეს თი“-ს წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 1%-ს. სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, „წინა ფინანსურ წელში“ იგულისხმება სააგენტოს მიერ, ეკონომიკური აგენტისთვის ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წლის წინა ფინანსური წელი, რაც ემსახურება იმ მიზანს, რომ დადგინდეს ეკონომიკური აგენტის აქტუალური ფინანსური შესაძლებლობები, რაც უნდა იყოს ჯარიმის საკმარისად პრევენციული ოდენობის განსაზღვრის საფუძველი. ვინაიდან მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება 2022 წელს, ჯარიმა უნდა განისაზღვროს შესაბამისი ეკონომიკური აგენტის 2021 წლის წლიური ბრუნვიდან.

„იქიდან გამომდინარე, რომ შპს „ბი ეს თი“-ს მხრიდან კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტი დადასტურდა, შპს „ბი ეს თი“-ს დაეკისროს ჯარიმა – 284.22 ლარის ოდენობით; კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, შპს „ბი ეს თი“-ს დაევალოს, მის მიერ განხოციელებული ქმედებების კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და ავტობუსის იერსახის იმგვარი ცვლილება, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს მომხმარებლის მხრიდან ეკონომიკური აგენტების აღრევის რისკი. ასევე, შპს „ბი ეს თი“-ს აეკრძალოს მომჩივანის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის – WST (N97758/3) მიმსგავსებული გრაფიკული სიმბოლოს გამოყენება; შპს „ბი ეს თი“-ს დაევალოს, სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ქმედების თაობაზე, საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია ერთი თვის ვადაში“.

სამართალი

№39 5 ოქტომბერი 2022 წ

ბოზური აგურის დადება გადაწყვიტეს... მე და „სიხო“ ჩამოვალთ და მუხლებს დაგიხვრიტავთ“...

ვინ არის „სიხო“, რომელსაც ვაკო ყაზაიშვილის ცოლის ძმა ჩანაწერში ახსენებს

ბათო ჯაფარიძე

– ბიჭო, შენ არ იცი, რომ გადასახდელი გაქვს? 100 ათას დოლარს მოიტან, გაიგე?
– არა, ვერ გავიგე, არაფერს მოვიტან...
ეროვნული ნაკრების კაბინეტში გაწევ-გამოწევა ატყდა და ფეხბურთელებმა სიტუაცია იმ მომენტისთვის განმუხტეს. ეს საუბარი საქართველოს საფეხბურთო ნაკრების გასახდელში, ერთ-ერთი მატჩის შემდეგ, კრიმინალებსა და მაშინ, „მილანში“ ახლადგადასულ კახა კალაძეს შორის გაიმართა. შემდეგ იყო ქართული ისტორიის ერთ-ერთი დიდი ლაქა, ლევან კალაძის გატაცება და მკვლელობა. დღეს, ყველაფერი ეს, თითქოს, წარსულს ჩაბარდა, ნაკრებში სათამაშოდ ჩამოსულ ფეხბურთელებს აღარ ელოდებიან გასასვლელთან, არ სთხოვენ 100 და 200 დოლარს „კაი ბიჭები“, მაგრამ ისე ჩანს, ყველაფერი ბოლომდე დასრულებული მაინც არ არის.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ორი ოფიციალური შეხვედრა გამართა, ორივე მოიგო და ფეხბურთის გულშემატკივრები კმაყოფილი არიან, თუმცა... შემდეგ გავრცელდა ნაკრების წევრის, ვაკო ყაზაიშვილის ცოლის ძმის, ნოდარ ნიშნიანიძის ჩანაწერი, სადაც ის ნაკრების ფეხბურთელებსა და ფედერაციის მაღალჩინოსებს მუხლების დახვრეტითა და მოკვლით ემუქრება. მიზეზად კი იმას ასახელებს, რომ მისი დის ქმარი ათამაშეს და ეს სპეციალურად გააკეთეს.

„როგორც ხდება ხოლმე, ვიღაცებმა მალანიას და სოსოს პონტში, თითო ბოზური აგურის დადება გადაწყვიტეს და ვაკოს არ ათამაშებენ. შეგათხელებთ, როგორც კი ნაკრები ევროპაში ჩამოვა, მე და „სიხო“ ჩამოვალთ და შეგათხელებთ, მუხლებს დაგიხვრიტავთ და მერე შეეხვეწებით ვაკოს ითამაშეო“, – ისმის ჩანაწერში, რომელიც ნიშნიანიძემ ნაკრების მენეჯერს, ვლადიმერ დვალიშვილს გაუგზავნა.

იმავე ჩანაწერში ნიშნიანიძე ამბობს, რომ დვალიშვილამდე, ნაკრების კაპიტანს, გურამ კაშიას ესაუბრა და მოუწოდებს, ეს ჩანაწერი ყველას მოასმენინოს. ჩანაწერი ერთ-ერთმა ტელევიზიამ გაავრცელა და საზოგადოებამაც სიმართლე ამის შემდეგ გაიგო, თუმცა...

მოდით, ჯერ თავად ყაზაიშვილის, ფეხბურთის ფედერაციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებებს გავეცნოთ:

ვაკო ყაზაიშვილი: „პირველ რიგში, ქართული ფეხბურთის ქომაგებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს ბოდიშს ვუხდი ფაქტისთვის, რომელიც ჩემთვის ყველაზე მეტად მიუღებელია.

ფეხბურთის თამაში 7 წლის ასაკში დავიწყე. ყველამ, ვინც დღეს, ჩვენს დიდ საფეხბურთო ოჯახს წარმოადგენს, იცის, რამდენი შრომა ჩავდე ჩემი კარიერის შენებაში. პირველად ნაკრებში 9 წლის წინ გამომიძახეს და ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი დღე ჩემს კარიერაში.

ეროვნული ნაკრების გარეშე, ფეხბურთელის კარიერული ცხოვრება სრულფასოვანი არასოდესაა. ყველა ფეხბურთელისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი და ფასეული, სწორედ ნაკრებია და მეც არ ვარ გამონაკლისი. ცხოვრებაში არავინ დამჭირვებია მინდორზე მოსახვედრად. ყველამ, ვისაც ფეხბურთი უყვარს, იცის, რომ ჩემს მიერ გატანილი გოლებისა და დაშვებული შეცდომების უკან, მხოლოდ მე ვდგავარ – არავინ და არაფერი, ჩემი შრომისა და ფეხბურთის სიყვარულის გარდა.

ყველამ, ვინც წარმოადგენს ნაკრებს და ფედერაციას, იცის, რომ ეს ჩანაწერი ყველაზე ბოლოს მოვისმინე. თქვენთვის ამ ჩანაწერში ნაკრების წევრებზე საუბრობენ და ჩემთვის – მეგობრებზე, ამიტომ განსაკუთრებით მძიმე და მიუღებელია საუბრის შინაარსი ჩემთვის.

ნაკრებს აქვს ისტორიული შანსი და ამ შანსის გამოსაყენებლად ყველაფერს გავიღებ. ყველანაირ პირადულ წინააღმდეგობას გადავლახავ. ჩემთვის მთავარია, არ დაზარალდეს ჩვენი დიდი საფეხბურთო ოჯახი და ამიტომ, მზად ვარ, მივიღო ფედერაციის ნებისმიერი გადაწყვეტილება“.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია: „გვსურს, გამოვეხმაუროთ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას. უპირველესად, გვინდა, მკაფიოდ გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია და აღვნიშნოთ, რომ ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება უპირველესია, ვგმობთ და ვემიჯნებით ყველა სახის ძალადობას, რაც არაერთხელ დაგვიფიქსირებია. მსგავს სიტუაციაში, თითოეული ადამიანის მოვალეობა და პასუხისმგებლობაა, დაუყონებლივ იმოქმედოს კანონის შესაბამისად.

ჩვენთვის თითოეული მოთამაშის უსაფრთხოებაზე ზრუნვა უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც ჩვენთვის ცნობილი გახდა ამ ფაქტის შესახებ, დაუყოვნებლივ ვაცნობეთ შესაბამის ორგანოს რეაგირებისთვის. ფეხბურთის ფედერაცია, თავის მხრივ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ითანამშრომლებს გამოძიებასთან.

ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად უზრუნველვჰყოთ ჩვენი გუნდის უსაფრთხოება, შევქმნათ მათთვის შესაბამისი გარემო და ხელი შევუწყოთ ეროვნული ნაკრების წარმატებას. ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გარეშე ფაქტორებმა ზეგავლენა არ მოახდინოს გუნდის ერთიანობასა და წარმატებაზე“.

შინაგან საქმეთა სამინისტრო: „შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთ-ერთი მედიასაშუალების საინფორმაციო გადაცემაში გასული ინფორმაციის საფუძველზე, სადაც საუბარი საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებისა და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლების მიმართ მუქარის შემცველი შინაარსის გზავნილებს ეხებოდა, გამოძიება დაიწყო. წარსულში ნასამართლევი პირის – ნ.ნ.-ის მიერ განხორციელებული, სავარაუდოდ, მუქარის შემცველი განცხადებების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით მიმდინარეობს“.

დავიწყოთ იმით, რომ რეალურად, ფედერაცია იტყუება, რადგან შს სამინისტრო გასაგებად წერს, რომ გამოძიება „ერთ-ერთი მედიასაშუალების საინფორმაციო გადაცემაში გასული ინფორმაციის საფუძველზე“ დაიწყო და არა ფედერაციიდან მიმართვის შემდეგ. ნაკრების კაპიტან კაშიასაც და მენეჯერ დვალიშვილსაც სასწრაფო წესით უნდა მიემართათ შს სამინისტროსთვის, მაგრამ ეს არ გააკეთეს და მხოლოდ სიუჟეტის ტელევიზიაში გასვლის შემდეგ ატყდა ამბავი. ეს არასწორია, ასე არ შეიძლება, 21-ე საუკუნეში, ასე არ უნდა ხდებოდეს და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა, მით უმეტეს, ასეთ თემაზე, არ ტეხავს. უნდა შეიგნოს ყველამ, რომ ნაკრები არც ფედერაციისაა, არც – კაპიტნის, არც – ცალკეული ფეხბურეთელების, ის ხალხისაა, საქართველოსია და წერტილი.

რაც შეეხება ნიშნიანიძის მიერ ნახსენებ „სიხოს“. აღნიშნული პირი, ასევე, კრიმინალური ავტორიტეტი, ლაშა სიხარულიძე გახლავთ. ნიშნიანიძეცა და სიხარულიძეც ინტერპოლით ძებნილები არიან. მათ ბრალად კიევში, კრიმინალური ავტორიტეტის, ირაკლი მალანიას მკვლელობა ედებათ, რომელიც სასამართლოს შენობასთან, გასული წლის 16 ნოემბერს ჩაცხრილეს. მაშინ საქმის ორი ფიგურანტი გაიქცა, მესამე, გიორგი არუთინოვი უკრაინელმა სამართალდამცავებმა დააკავეს, თუმცა ორიოდე დღის შემდეგ, არუთინოვი საკუთარ საკანში გარდაცვლილი ნახეს. როგორც ამბობენ, მალანიას მკვლელობა 2016 წელს, ვაკეში, სოსო ჯოხაძის მკვლელობის გაგრძელებაა. ჯოხაძე და მალანია უახლოესი მეგობრები იყვნენ, ნიშნიანიძე და სიხარულიძე კი – მათთან დაპირისპირებულები. ვარაუდობენ, რომ უკრაინაში მყოფი მალანია, ნიშნიანიძესა და სიხარულიძეს მოკვლით ემუქრებოდა და მათ უბრალოდ დაასწრეს.

სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, ნოდარ ნიშნიანიძემ თავის სიძესთან, ვაკო ყაზაიშვილთან ერთად, ვიდეო ჩაწერა, სადაც ამბობდა, რომ მის დაკავებასა და იარაღის ჩადებას აპირებდნენ. მაშინ ნიშნიანიძე ამტკიცებდა, უტყუარი ინფორმაცია მაქვსო და ვაკოც ადასტურებდა, მეც ვიცი, რომ იარაღის ჩადებას უპირებენ ჩემს ცოლის ძმასო. ამ ვიდეოს გავრცელებიდან რამდენიმე დღეში, შსს-მ ნიშნიანიძე საკუთარ სახლში დააკავა და მას... იარაღი უნახა. შემდეგ იყო სასამართლო, სასჯელი, გათავისუფლება და მივედით იქამდე, სადამდეც მივედით.

რა თქმა უნდა, შს სამინისტროს საქმიანობასა და ვინმეს პირად გადაწყვეტილებებში არ ვერევით, მაგრამ ყოველგვარი სპეკულაციების თავიდან ასაცილებლად, ყაზაიშვილი თავად თუ იტყოდა ნაკრებში თამაშზე უარს, სხვებისთვის მაგალითი იქნებოდა თუნდაც იმისა, რომ არავინ არ უნდა ჩაერიოს იქ, სადაც ეროვნული გუნდისა და საქართველოს ინტერესია. ახლა, როცა ნაკრებს შანსი აქვს, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდეს (მხოლოდ ორი შეხვედრაა მოსაგები), არეულობა არავის აწყობს, თანაც მედალს მეორე მხარეც აქვს – ნაკრების ნებისმიერ შეხვედრაში, მოედანზე შესული ვაკო ყაზაიშვილის დანახვის შემდეგ, რამდენს გაუჩნდება იმის შეგრძნება, რომ ეს ნიშნიანიძის შიშით მოხდა? მით უმეტეს, რომ შესაძლოა, ამხელა ფსიქოლოგიური წნეხის გამო, ყაზაიშვილს თამაში, უბრალოდ, ვერ გამოუვიდეს და ვაკოს კი არა, მესისა და რონალდუს არ მისდით ყველა შეხვედრა ისე, როგორც მათ სურთ. შსს ვალდებულია, ეს საქმე გახსნას და... ერთხელ და სამუდამოდ, იქნებ, ყველა შეეშვას იმ ადამიანებს, რომლებიც ფულს საკუთარი ოფლის ფასად შოულობენ. იგივე, ყაზაიშვილსა და სხვებს, საკუთარ წონაზე ათჯერ მეტი ოფლი აქვთ დაღვრილი იმისთვის, რომ იყვნენ იქ, სადაც დღეს არიან. ფედერაცია კი, ტელევიზიასა და ჟურნალისტებს კი არ უნდა დაელოდოს, ყოველი ასეთი ფაქტის შემდეგ, უნდა გამოვიდეს და განგაშის ზარები შემოჰკრას. „ჯიგრულ-ქართულ პონტში“ საქმეების კეთებით, წინ ვერ წავალთ, ვერ!

ქუთაისში ომის ვეტერანი მოიპარეს

პოლიტიკური ინტრიგები იმერულად

ბათო ჯაფარიძე

ეს ახლაა, ომის ვეტერანთა უმრავლესობა ბედის ანაბარა რომ არიან მიტოვებულნი, თორემ ადრე, სამამულო ომის ვეტერანებს ყურადღებასაც აქცევდნენ, არც სამსახურს უგვიანებდნენ და ზოგადად, პატივში ჰყავდათ. ბერლინამდე ჩასული მოხუცები, სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელებიღა გვყავს, მაგრამ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ნაბრძოლი ბიჭები არიან ბევრნი და ეგებ, მათ მეტი ყურადღება და მოფერება სჭირდებათ. დიდი სამამულო ომის ვეტერანები, საბჭოთა კავშიროს დროს, ორდენებით მკერდდამშვენებულნი, ამაყად დააბიჯებდნენ და საკმარისი იყო გეკითხა, სად იბრძოლეო, თავიდან ბოლომდე გიყვებოდნენ ომის ამბავს... ჰო, თავიდან ბოლომდე...

„ზაფხული იდგა და როგორც იქნა, შვებულება მაღირსეს. გეზი აფხაზეთისკენ ავიღე, სოხუმში მეგობრებიც მეგულებოდნენ და ნათესავიც მყავდა. ცოლ-შვილი მანქანაში ჩავსვი, ჩავბარგდი და არხეინად გავუყევი გზას, რომელიც არცთუ მცირე, მაგრამ ძალიან სასიამოვნო იყო. იმის შეგრძნება, თუ რა მელოდა სოხუმში, ძვლებში სასიამოვნოდ მამტვრევდა. ამიტომ, ღიღინ-ღიღინით მივდიოდი, მანქანას ვაჩერებდი, როცა პაპიროსი უნდა გამებოლებინა, ბავშვები ფეხს შლიდნენ და გადასარევ ხასიათზე დავდექი, როცა ქუთაისის შესასვლელთან, „გაიშნიკებმა“ გზაზე გადმოხტომით გამაჩერეს. განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს გზა ხსნილი რომ მქონდა, კი ვიცოდი, მაგრამ ისეთ გადასარევ ხასიათზე ვიყავი, ვიფიქრე, ცოტას გავერთობი-მეთქი, მაგრამ ვინ გაცადა გართობა – როგორც კი მანქანა გაჩერდა, მაშინვე „ჩესტი“ ამიღეს, ბატონო თენგიზ, სასწრაფოდ უნდა გამოგვყვეთ, სამხარეოში გიბარებენო. ამას ნამდვილად არ ველოდი, მაგრამ რა უნდა მექნა, წავყევი“, – ასე იწყებს მორიგი ისტორიის მოყოლას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სამხარეოს შენობაში მისულ გამომძიებელს უკვე ელოდნენ. ქუთაისის, საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი, თან მინისტრის მოადგილესთან იყო სატელეფონო ხაზზე, თან ბატონი თენგიზისთვის ცდილობდა აეხსნა, რომ უბედურება მოხდა.

„ტარიელი რომ არის, ჩვენ ვეტერანი, გამოჩენილი კაცი, ეგ მოგვპარეს თუ მოგვიკლეს, ველარ გავიგე. არადა, მთხოვა, ავად ვარ, ეგებ, გამოკვლევები ჩამიტარონო და მაგას როგორ დავზარდებოდი, საუკეთესო ექიმები დავახვიე, ერთი კვლევა, მეორე და აგერ, მესამე კვლევაზე აღარ მოვიდა. სახლში მძღოლი გავუშვი, სახლი არეულია, იატაკზე სისხლია, კაცი არ ჩანს. თქვენს გარდა ვერავინ მიშველის, ბატონო თენგიზ“, -არეულად საუბრობდა ქუთაისში იმ დროისთვის გავლენით მეორე თუ არა მესამე კაცი მაინც.

მოკლედ, ქალაქის ერთ-ერთი კოლორიტი, სამამულო ომის ვეტერანი, დამსახურებული კაცი, ვინმე ტარიელი უკვალოდ გაქრა. როგორც გაირკვა, მან სწორედ ამ გავლენიან კაცს სთხოვა, ეგებ, ექიმებმა ურიგოდ გამსინჯონო და მანაც ყველა და ყველაფერი შეაწრიალა, მამაკაცი შეამოწმეს, მაგრამ რად გინდა, ბოლოს, დასკვნით დღეს აღარ მივიდა საავადმყოფოში და მის სახლში მისულ მძღოლს, რომელიც სწორედ იმ გავლენიანმა კაცმა გაუშვა, ყველაფერი ყირაზე დახვდა და რაც მთავარია, იატაკზე სისხლის გუბე იყო. ასე „მოხსნეს“ შვებულებაში მიმავალი გამომძიებელი გზიდან და ოჯახთან ერთად, წყალტუბოს სასტუმროში დააბინავეს. წყალტუბოში იმიტომ, რომ ცოლ-შვილი იქაურ სკვერში ისეირნებდა, მამას კი საქმე ჰქონდა ქუთაისში და ცოლ-შვილისთვის არ უნდა მომცდარიყო.

პირველი, რაც ყველას გაუხარდა, ის გახლდათ, რომ იატაკზე ნაპოვნი სისხლი საქონლის იყო და არა – ადამიანის ანუ გაჩნდა უდიდესი შანსი, რომ დაკარგული კაცი ცოცხალი იყო, მაგრამ გაჩნდა ეჭვიც, რომ ყველაფერი ეს, სპეციალურად გაკეთდა ანუ ვიღაცას ძალიან აწყობდა, რომ ამბავი გახმაურებულიყო და საქმეში მხოლოდ მთელი ქალაქი კი არა, დედაქალაქიც ჩართულიყო. იმის მიუხედავად, რომ ქუთაისი დღემდე ითვლება საქართველოს რიგით მეორე ქალაქად, იქ ყველა ყველას იცნობს და ამიტომ, გამომძიებელს არ გასჭირვები იმის დადგენა, რომ ტარიელი მართლაც ყველასგან პატივცემული და დაფასებული პიროვნება გახლდათ და რაც მთავარია, ის იმ გავლენიან ადამიანთან, რომელმაც ხმაური ატეხა, ყველაზე მეტად იყო დაახლოებული და როცა რამე სჭირდებოდა, სწორედ მას ურეკავდა. ამიტომ, ექიმებთან ვიზიტი რომ სწორედ მას დააგეგმინა, გასაკვირი არ იყო.

„თბილისიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ ორ თვეში, ქუთაისში სერიოზული გადაადგილებები იგეგმებოდა, ვიღაც სახლში უნდა წასულიყო, ვიღაც უნდა დაწინაურებულიყო და ყველაზე დიდი შანსი, რომ დაწინაურებულიყო, ახალგაზრდა, პერსპექტიულ პარტიულ მუშაკს ჰქონდა, მეორე ადგილზე კი, ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი კაცი იყო, რომელიც ომის ვეტერანს ეძებდა. ამიტომ, თბილისში არ გამორიცხავდნენ, რომ ყველაფერი ეს, სწორედ იმ გადაადგილებების სიო იყო და ჩინოვნიკები ერთმანეთს ებრძოდნენ. ვეტერანის გაქრობა იმ ახალგაზრდა კაცის წისქვილზე ასხამდა წყალს და ამიტომ, ზედაპირულად, მისი გამოკითხვაც გადავწყვიტე“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

„გარდა იმისა, რომ დაკარგულისა და მისი ვითომ ჭირისუფლის მეგობრობაზე საუბრობენ ბევრს, იმასაც ამბობენ, რომ ეს პატივცემული ომის ვეტერანს თავს იმიტომ ევლებოდა, რომ მას რაღაც კომპრომატები ჰქონდა და მათი გასაჯაროვებით ემუქრებოდაო. ჰოდა, არ გამიკვირდება, თუ სწორედ იმ კომპრომტის გამო გაიტაცა და ახლა სადმე გადამალული ჰყავს“, – თქვა ახალგაზრდამ და გამომძიებელს მოეჩვენა, რომ ის ძალიან თავდაჯერებული იყო.

ერთი შეხედვით, ყველაფერი იქეთკენ მიდიოდა, რომ სამართალდამცავებს ან გვამი უნდა ენახათ, ან ხელი ჩაექნიათ, მაგრამ როგორი საქმე იყო, ლამის, მთელი ქუთაისი ელოდა კვანძის გახსნას. ყოველი შემთხვევისთვის, რიონის ნაპირები დაათვალიერეს, სადმე გვამი არ იყოს გამორიყულიო, მაგრამ თბილისელი მაძებრები დაბეჯითებით ამბობდნენ, ვეტერანი აუცილებლად ცოცხალია, მკვდარი რომ იყოს, საქონლის სისხლს არ დაასხამდნენო, მაგრამ ვის და რისთვის დასჭირდა მისი გაქრობა? ეს იყო გასარკვევი, მაგრამ როგორ? ძალოვნები იქამდეც კი მივიდნენ, პირველი ორი კვლევის შედეგი გამოითხოვეს, რაიმე ისეთი ხომ არ გაიგო მოხუცმა, რომ წავიდა და დაიკარგაო, მაგრამ არა, კაჟივით ჯანმრთელობა ჰქონდა. საბუთების ფურცვლის დროს, გამომძიებლებმა აღმოაჩინეს, რომ ზუსტად იგივე კვლევები მოხუცს ორი კვირის წინაც ჰქონდა ჩატარებული და მაშინ, რა საჭირო იყო ახალი კვლევა? ეს უკვე ეჭვს ბადებდა და საავადმყოფოს მთავარი ექიმი განყოფილებაში კი არ დაიბარეს, ხმაური რომ არ გამოეწვიათ, კაბინეტში ესტუმრნენ.

„მე არ ვიცი, რა ხდება. დიდი ხალხი თქვენ ხართ და თქვენ გაერკვიეთ. ორი კვირის წინ დამირეკა იმ დალოცვილმა, ჩვენი ტარიელი გასინჯეო, მივიღე, გავსინჯე... მერე კიდევ დამირეკა, ისევ გასინჯეო და ვუთხარი, ორ კვირაშ რა დაემართებოდა კაჟივით კაცს-თქო და არ არის შენი საქმეო, ახლიდან მიმაღებინა. მართლა არაფერი სჭირს იმ კაცს და რატომ ვსინჯავ ორ კვირიაში ერთხელ, ვერ გეტყვით“, – ჩააგალობა ექიმმა და „იმ დალოცვილში“, სწორედ ის ჩინოვნიკი იგულისხმა, რომელმაც ყველაფერი ეს დაიწყო.

სხვა გზა არ იყო, ძალოვნები მაღალჩინოსნის დასაკითხად მოემზადნენ და ნებართვისთვის თბილისში დარეკვა გადაწყვიტეს, თუმცა, სწორედ ამ დროს, განყოფილებაში ის ახალგაზრდა პარტმუშაკი მოვარდა, პირველობა და ყველას ჩაჩოჩება რომ სურდა და თბილისელ გამომძიებლებს მიახალა, ბატონი ტარიელი ამ კაცს წყალტუბოში მდებარე საკუთარ სახლში ჰყავს გადამალული, რადგან იმას კომპრომატები აქვს და არ სურს, გამოამზეუროს, ამიტომ, გაიტაცა, გადამალა და მოკვლას უპირებსო. ეს სერიოზული ბრალდება იყო და ამიტომ, ლამის, ყველა ერთად წყალტუბოში, მაღალჩინოსნის აგარაკზე გაემგზავრა. იქ მისულებს საინტერესო სურათი დახვდათ – ბატონი ტარიელი ეზოში, ხის ძირას იჯდა, წიგნს კითხულობდა და სტუმრების დანახვის შემდეგ, ფეხზე წამოდგა და გამოეგება. რაც მთავარია, ამდენი ხალხის დანახვა არ გაჰკვირვებია და როცა ფორმიანები დაინახა, ღიმილით უთხრა – „მე მეძებთ, ალბათ, ბატონებო, გაუფრთხილებლად წამოვედი ამ ღვთისნიერი კაცის სახლში, გასაღები წლების წინ მომცა, როცა გინდოდეს, ადი, დაისვენე, ქალაქის ხმაურს გაერიდეო. ჰოდა, იმ პროცედურების შემდეგ, ისე კარგად ვიგრძენი თავი, გულმა აქეთ გამომიწია და ქე წამოვედი გაუფრთხილებლად“...

„პირველი, რაც თავში მომივიდა, ის იყო, რომ სახლი გავაჩხრეკინე, იქ ტარიელის გარდა, არავინ იყო. შემდეგ, მაღალჩინოსანი და ტარიელი მანქანაში ჩავისვი და მკაცრად ვუთხარი, ან ქუთაისამდე ყველაფერს მომიყვებით, ან ორივე თბილისში მიმყავხართ-მეთქი. მაღალჩინოსანმა დაიწყო“, – ღიმილით ამბობს ბატონი თენგიზი.

„ტარიელი მომადგა, ის ახალგაზრდა შემხვდა, შენზე მკითხა, თან რატომ გყვებაო და ესეც გახუმრებია, მაგაზე ისეთი კომპრომატი მაქვს, გადამყვება, აბა, რას იზამსო. იმან კიდევ, დიდი ფული შესთავაზა, კომპრომატი მომყიდეო, ტარიელმა, მოვიფიქრებო და მე მიამბო. ამიტომ დავაწვინე მეორედ კლინიკაში, იმას უთხრა, მგონი, მოკვლას მიპირებენო და მერე ჩემს აგარაკზე გავუშვი, გავაქრე. ახლა კონკურენტი ჩამოცილებულია და თქვენი შეწუხებისთვის ხარკს გადავიხდი – საუკეთესო სასტუმროს ნომერი გელოდებათ, ყველაფერი გადახდილია“...

თბილისში რეგიონის პოლიტიკური თამაშები კარგად გაიგეს, ორივე მაღალჩინოსანი პერიფერიებში გაისროლეს, ქუთაისში კი ახალი კადრი დედაქალაქიდან გაუშვეს.

ბათო ჯაფარიძე

ფულის გამოძალვის სხვადასხვა ხერხი არსებობს. კრიმინალები, ძირითადად, ოჯახის წევრებს იტაცებენ და შემდეგ პირს, ვისაც შესაძლებლობა აქვს, ფულს სთხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახის წევრის მოკვლით ემუქრებიან. სამწუხაროდ, დაზარალებულები ცდილობენ, აღნიშნული პრობლემა თავად მოაგვარონ და სამართალდამცავებს არ შეატყობინონ, რაც ძირითადად ცუდი შედეგით სრულდება. არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა თავის დაზღვევის მიზნით, გამტაცებლები გატაცებულს ფულის მიღების შემდეგაც კლავენ, რადგან ეჭვი აქვთ, რომ გატაცებულმა, შესაძლოა, ისინი ამოიცნოს. ცხადია, თუ ასეთ ამბავში ოჯახისთვის კარგად ნაცნობი პირი არ ურევია, ყველაფრის დაგეგმვა და განხორციელება თითქმის წარმოუდგენელია.

როგორ დაგეგმა ქალმა ბავშვობის დაქალის გატაცება



კურიოზული კრიმინალური ისტორია

„ერთ მშვენიერ დღეს, მეგობარი მომადგა. საკმაოდ გავლენიანი და შეძლებული კაცი იყო, მაგრამ მასზე აუგს ვერავინ იტყოდა, არც მეგობრობაში ეშლებოდა რამე, არც - კაცობაში და ზოგადად, ყველა პატივს სცემდა. მომადგა და მეუბნება, ამ დილით საფოსტო ყუთში (ვინც არ იცის, საფოსტო ყუთში, ფოსტალიონის მიერ, დილით ჩატენილი გაზეთი ან წერილი რა საინტერესო სანახავი და წასაკითხი იყო, უფროსებს ჰკითხეთ) წერილი დამხვდა, გავხსენი და აგერ, ეს ფოტოა, თან წერილი და არ ვიცი, რა ვქნა, შენ მირჩიეო“, - გვიყვება საინტერესო ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

წერილი გაზეთიდან ამოჭრილი ასოებით იყო აწყობილი (ე.წ. ანონიმკა) და ეწერა, რომ სურათზე ასახული გოგონა ამ კაცის შვილიშვილს ატარებდა მუცლით და თუ სურდა, რომ შვილიშვილი ენახა, 30 ათასი მანეთი უნდა გადაეხადა, რაც მაშინ ძალიან დიდი თანხა იყი.

„ახლა, რაშია საქმე. მე არ ვიცი, ვინ არის ეს გოგონა, ჯერ ჩემი ბიჭისთვისაც არ მინახებია სურათი, მაგრამ თუ ეს გოგო მართლა ჩემი ბიჭისგან არის ორსულად, მე 30 ათასს კი არა, 50-ს გადავიხდი. შვილიშვილს რა სჯობს, ბიჭო? ერთი რამ მაეჭვებს - ჩემი ბედოვლათი ცოტა კი გაერთო ახალგაზრდა გოგოებით, მაგრამ თითქმის ყველას მაცნობდა, სახლში მოჰყავდა. მომკალი და, ეს გოგო ვერ გავიხსენე“, - ეუბნებოდა გამომძიებელს მეგობარი.

ბატონმა თენგიზმა მილიციაში განცხადების ოფიციალურად დაწერა ურჩია, რადგან ფაქტი საყურადღებო იყო, მით უმეტეს, რომ გოგონას ფოტოზე ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა, პირში რაღაც ჩვარი ჰქონდა ჩათხრილი და აშკარად უმწეოდ გამოიყურებოდა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, დაკითხვაზე მთავარი „ეჭვმიტანილი“ ანუ ის ბიჭ დაიბარეს, რომლისგანაც წესით, გოგონა უნდა ყოფილიყო ორსულად. ბიჭმა ფოტოს დახედა და აღიარა, ორი დღის წინ, ასეთი წერილი მეც მივიღე, შენი შვილის სიკვდილი თუ არ გინდა, ფული გადაიხადეო. სურათს დავხედე, გოგონა ვერ ვიცანი, ყველაფერი უკბილო ხუმრობად ჩავთვალე და წერილიცა და სურათიც იქვე, სანაგვეში ჩავაგდეო. ის კატეგორიულად უარყოფდა გოგოსთან ნაცნობობას და ამბობდა, რომ მასთან ურთიერთობა კი არა, გადაკვეთის წერტილიც კი არასდროს ჰქონია.

ძალოვნებისთვის ყველაზე რთული პროცესი დაიწყო - უნდა გაერკვიათ, ვინ იყო ეს გოგონა და ასაკის მიხედვით, პირველ რიგში, ძებნა ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყეს. შედეგმა არ დააყოვნა, გოგონას ერთ-ერთ ტექნიკუმში მიაგნეს და რაც მთავარია, ისიც გაიგეს, რომ იქვე, სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. მის ოთახში რომ მივიდნენ...

„ოთახში, სადაც ის მეგობარ გოგონასთან ერთად ცხოვრობდა, სივიწროვე იყო, მაგრამ კედელზე საკმაოდ მოზრდილი სარკე ეკიდა. არ გამკვირვებია, ახალგაზრდა გოგონები, აბა, ფეხბურთელის პლაკატს ხომ არ გამოჭიმავდნენ, სარკე მათთვის უფრო მნიშვნელოვანია. ჰოდა, მაშინ სარკის ჩარჩოში ფოტოების გაკვეხება იცოდნენ ხოლმე და სწორედ ასე იყო გაკვეხებული ერთი ფოტო. ფოტოს თვალი შევავლე და გავშეშდი - ჩემი მეგობრის შვილი, რომელიც მიმტკიცებდა და ლამის დამაჯერა, რომ ეს გოგო არსად უნახავს, სწორედ გატაცებულ გოგონასთან ერთად, ხელგადახვეული იყო გამოსახული. ფოტო კონოთეატრის წინ იყო გადაღებული. გავბრაზდი კი არა, გავცოფდი. გოგონას ოთახში ვინც ცხოვრობდა, ის განყოფილებაში წავიყვანე, იქ დაგკითხავ-მეთქი და ბიჭი მამამისთან ანუ ჩემს მეგობართან ერთად დავიბარე“, -იხსენებს ბატონი თენგიზი.

ბიჭმა ფოტოს დახედა, მერე მხრები აიჩეჩა და ისევ ჯიუტად გაიმეორა, მომკალით და, არ მახსოვსო. არადა, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ ფოტო ნამდვილი იყო, რაც მთავარია, ბიჭს გოგოსთვის ხელი მხარზე ჰქონდა გადახვეული და გულიანად იცინოდა. ბიჭი მას შემდეგ უფრო გაოცდა, რაც გოგოს დაქალმა დაადო ხელი, კი, სწორედ ეს არის მისი საქმრო, ბეჭედიც აჩუქა, ძვირფასი სუნამოებიც, სუნამოები სახლშია, ბეჭედს კი ხელიდან არ იშორებდაო.

„რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გეჩვენოთ, ამ მტკიცებულებების მიუხედავად, ბიჭი იმდენად გულწრფელად იყო გაოცებული, რომ მისი უფრო მჯეროდა, ვიდრე ფაქტების, რომლებიც მაგიდაზე მეწყო. ოპერმუშაკები კი გავუშვი საერთო საცხოვრებელში, საიდანაც უცხოური სუნამოს ორი ფლაკონი მოიტანეს, რომელიც თითქოს ბიჭმა აჩუქა გატაცებულ გოგოს, მაგრამ ის ისევ ყველაფერს უარყოფდა, რა სუნამო და ბეჭედი, ხომ არ გადაირიეთ, ცოლის მოყვანას არ ვაპირებ და არც არავინ დამინიშნავს, მით უმეტეს, არ დამიორსულებიაო“, - იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამაგიეროდ, დაქალი ამბობდა, რომ ყოველ საღამოს, გოგონა სწორედ მასთან შესახვედრად გადიოდა და სხვადასხვა საჩუქრით ბრუნდებოდა. მეტიც, გატაცებული გოგონა მისი თანასოფლელი, თანაკლასელი იყო, მთელი ბავშვობა ერთად ჰქონდათ გატარებული, ტექნიკუმშიც ერთად ჩააბარეს და გოგონა გათხოვდა კიდეც, თუმცა მისი ქმარი, ღამის ცვლაში მუშაობდა და სწორედ ამიტომ, მეგობართან საერთო საცხოვრებელში ხშირად რჩებოდა. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, ვის შეიძლებოდა გაეტაცებინა დაქალი, მაგრამ დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ორსულობის შესახებაც იცოდა და რაც მთავარია, მათ ქორწილს უახლოეს ორ კვირაში ელოდა.

ამასობაში, ექსპერტიზის ძალიან საინტერესო დასკვნა მოვიდა - სუნამოებიდან ნამდვილი ერთიც არ იყო. უფრო სწორედ, ბოთლი კი იყო ნამდვილი, მაგრამ შიგნით იაფფასიანი სუნამო ესხა და თან წყალგარეული. ამ ამბავმა ბიჭი გაახარა, მე რომ მეჩუქებინა, ნამდვილს მაინც ვაჩუქებდიო, მამამისი კი...

„არ მაინტერესებს, იცნობს თუ არა ჩემი შვილი იმ გოგოს, არაფერი მაინტერესებს. მზად ვარ, გადავიხადო, ოღონდ გოგონა გადარჩეს, ბავშვიც გადარჩეს და რაც მთავარია, შემდეგ ანალიზებით გავარკვევ, რამდენად რეალურია ის, რომ ჩემი შვილიშვილია. მზად ვარ, ფული ნებისმიერ ადგილზე პირადად მივიტანო“, -ეუბნებოდა გამომძიებელს კაცი, რომელმაც რეალურად, ყველაფერი ეს დაიწყო და სამართალდამცავებს შეატყობინა.

ძიება კი გრძელდებოდა, მაგრამ ამაოდ - სიახლე არაფერი იყო და იმის მიუხედავად, რომ გატაცებულის სავარაუდო მამამთილი ამტკიცებდა, ფული გადამახდევინეთ, გოგოს ვუშველოთო, სამართალდამცავები თითქოს რაღაცას ელოდნენ და ეს რაღაცაც მალე გამოჩნდა - ახალი ფოტო და ახალი წერილი ფულის მოთხოვნითა და კონკრეტული ადგილისა და თარიღის მითითებით. სურათი ისევ იმ ოთახში იყო გადაღებული, მაგრამ ექსპერტებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მაქსიმუმი გამოეწურათ და გამოუვიდათ კიდეც - ფოტოს დამუშავების შემდეგ, კედელზე მიწერილი ტელეფონის ნომერი ამოიკითხეს. ადრე, კედლებზე, ნომრებს ხშირად აწერდნენ ხოლმე.

„ნომერი შევამოწმეთ და ის გატაცებული გოგონას დაქალის ქმრის მშობლების სახლის ნომერი აღმოჩნდა. მივხვდით, დაქალი ძალიან მალე გამოვრიცხეთ და ეს შეცდომა იყო. მისი ქმარი მოვიკითხეთ და გაირკვა, რომ შვებულებაში გავიდა ზუსტად იმ დღეს, როცა გოგონა გაქრა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, წავედით სახლში, რომელსაც წყვილი სოფლად აშენებდა და დაუმთავრებელი იყო. იქაურმა სოფლის რწმუნებულმა დაგვიდასტურა, კაცი სახლშია, მაგრამ ეზოს გარეთ არ გამოდისო“, - იხსენებს ბატონი თენგიზი.

გატაცებული გოგონაც ნახეს და მისი დაქალი, ქმართან ერთად, დააკავეს კიდეც, მაგრამ ყველას აინტერესებდა, რა მოხდა რეალურად.

„ეს ბიჭი ყველაზე პოპულარული და სასურველი სასიძო იყო. რამდენჯერმე, ვითომ შემთხვევით შევხვდი, ვთხოვე, სურათიც გადავიღოთ-მეთქი და უარი არ უთქვამს, ვიცოდი მისი ყოველი გადაადგილება, რამდენჯერმე, სპეციალურად გვერდით ისე მივყვებოდი, ვიღაცებს ჰგონებოდათ, რომ ერთად ვიყავით. საჩუქრებიც ჩემს თავს თვითონ მივუძღვენი, არც სუნამოა ნამდვილი და არც ბეჭედი, მაგრამ ვერავინ ხვდებოდა და ჩემი შურდათ. ჰო, ყველას შურდა და ორსულობაც ამიტომ მოვიფიქრე. მერე ვიტყოდი, მუცელი მომეშალა და მიმატოვა-თქო“, - ხელები გაშალა გოგონამ და გატაცების შესახებ არაფერი თქვა.

„იმის მიუხედავად, რომ ბავშვობიდან ერთად მოვდივართ, არასდროს მჯობდა, არასდროს, არც სილამაზით, არც ცოდნით. რომ გავთხოვდი, ერთ კვირაში გამომიცხადა, შეყვარებული მყავსო, მერე ეს ფოტო მოიტანა და გავცოფდი. არ იმსახურებდა იმ ბიჭს, არა. როცა ორსულობის შესახებ გავიგე, მე და ქმარმა გადავწყვიტეთ, ამ სულელზე ფული გვეშოვნა, ჩემს სახლში დავპატიჟე, დასაძინებელი ჩავუყარე და მერე დავაბით. არც იცოდა, სად იყო და რა მოხდა, ქმარი ნიღბით შედიოდა, ხმას არ სცემდა“, - ეს კი გატაცებულის დაქალმა თქვა.

ერთი შეხედვით, ძალიან სასაცილო ისტორია ნაღვლიანად დასრულდა. კაცმა, რომელიც მზად იყო, შვილიშვილის სიცოცხლის გადასარჩენად ფული გაეღო, ჩუმად ჩაილაპარაკა, ახლაც მზად ვარ, 30 ათასი გადავიხადო, ოღონდ მანახეთ ქალი, რომელიც ჩემს შვილიშვილს ატარებს მუცლითო. სავარაუდოდ, ხვდებოდა, რომ ვერ მოესწრებოდა. ამ ამბიდან ერთ წელიწადში, ინსულტით გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, საზოგადოებრივი ღონისძიება ზუგდიდში დასრულდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში გამართული საინფორმაციო-შემეცნებითი ორდღიანი ღონისძიება ზუგდიდში, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დასრულდა. კამპანიის ფარგლებში, მსგავსი ღონისძიება ბათუმში, ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზეც გაიმართა, რის შემდეგაც, სკოლებში საინფორმაციო შეხვედრები დაიწყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანიას – „ემეგობრე პოლიციას“ განგრძობითი ხასიათი ექნება. ზუგდიდისა და ბათუმის გარდა, სახალხო ღონისძიებები ქვეყნის მასშტაბით, სხვა ქალაქებშიც ჩატარდება. მოზარდებსა და ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება, გაეცნონ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის საქმიანობას, ასევე, შეეძლებათ, დაათვალიერონ საპატრულო პოლიციის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი – „112“-ის, მომსახურების სააგენტოს, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, სასაზღვრო პოლიციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, დაცვის პოლიციისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეცტექნიკა და აღჭურვილობა. ბავშვები, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა შემეცნებით და გასართობ აქტივობაში.

პოლიციამ თბილისში მომხდარ დაჭრის ფაქტზე ერთის პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული თ.ნ., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს, თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზესტაფონის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1991 წელს დაბადებული ლ.ჭ. ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილ მამაკაცს შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თ.ნ. ბრალდებულის სახით დააკავეს.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, ზუგდიდში, საზოგადოებრივი ღონისძიება გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, ბათუმის შემდეგ, საზოგადოებრივი ღონისძიება ზუგდიდში, ცენტრალურ მოედანზე გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელი პირები და სამეგრელოს რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული.

კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, ზუგდიდში, სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი აქტივობები ჩატარდა. ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის საქმიანობას, ასევე, დაეთვალიერებინათ საპატრულო პოლიციის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი – „112“-ის, მომსახურების სააგენტოს, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, სასაზღვრო პოლიციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, დაცვის პოლიციის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეცტექნიკა და აღჭურვილობა. ბავშვები, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, სხვადასხვა შემეცნებით და გასართობ აქტივობაში მონაწილეობდნენ.

აღსანიშნავია, რომ სახალხო ღონისძიებების პარალელურად, პროექტი მოიცავს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების, კერძოდ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, მომსახურების სააგენტოს და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი – „112“-ის წარმომადგენლების ვიზიტებს სკოლებში, რომელთა მიზანია, ბავშვებსა და მოზარდებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები საინფორმაციო-შემეცნებით შეხვედრებზე მოსწავლეებს ინფორმაციას მიაწვდიან მართლწესრიგის შესახებ მათთვის საჭირო და აქტუალურ თემებზე.

პოლიციამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1966 წელს დაბადებული ზ.თ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით სხეულზე ჭრილობები მიაყენა ნაცნობს – 1957 წელს დაბადებულ დ.შ.-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. ზ.თ.-მ, კვალის დაფარვის მიზნით, გარდაცვლილის ცხედარი დანაშაულის ჩადენის ადგილიდან მოშორებით გადაიტანა და ერთ-ერთ ქუჩაზე დატოვა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი მომხდარიდან მალევე დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

პოლიციელებისთვის სოციალური პირობების გაუმჯობესება გრძელდება – 2023 წლის 1 იანვრიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ხელფასები 20%-ით გაიზრდება

საქართველოს მთავრობის მეთაურის გადაწყვეტილებით, პოლიციელებისთვის ღირსეული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისა და სოციალური გარანტიების შექმნის უზრუნველყოფის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტი იზრდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის გაზრდილი პარამეტრების ძირითადი ნაწილით გათვალისწინებულია თანამშრომელთა ხელფასების 20%-იანი ზრდა, ასევე, სამინისტროს ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სოციალური პროგრამების განვითარება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავრობასთან კოორდინაციით, პოლიციელებისთვის 1000-ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის პროექტზე უკვე დაწყებული აქვს მუშაობა. პროექტი აქტიურ ფაზაში გადადის და გაზრდილი საბიუჯეტო სახსრები ამ მიმართულებითაც გადანაწილდება.

სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გათვალისწინებულია პოლიციის შენობების რემონტი, საპოლიციო ბაზების მშენებლობა-რემონტი, შეიარაღებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მომატებული სახანძრო რისკებისა და საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, 2022 და 2023 წლების საბიუჯეტო სახსრებით განსაზღვრულია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სპეციალური აღჭურვილობის სამი ვერტმფრენის შეძენა, რომლებიც განკუთვნილი იქნება ძებნა-გადარჩენის, ხანძრის ქრობის, საპოლიციო ოპერაციებისათვის.

ამასთან, გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო, მაღალი გამავლობის 30 სპეციალური ავტოტრანსპორტის შეძენა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამართული ფუნქციონირების, მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის პრიორიტეტულია, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ასევე, პოლიციელებისთვის ღირსეული პირობებისა და სამინისტროს თითოეული თანამშრომლისთვის სოციალური გარანტიების შექმნა.

ისევ ხვიჩა და... ქართველი – ანჩელოტის ბლოკნოტში

ხვიჩა კვარაცხელიამ ისევ გაიტანა. ამჯერად, ქართველმა შემტევმა „ტორინოს“ გრძელი დრიბლინგის შემდეგ შეუგდო და ახლა „ნაპოლის“ მაისურით გამართულ 10 შეხვედრაში, ყველა ტურნირზე – 5 გოლი, 2 საგოლე გადაცემა და 2 მოპოვებული პენალტი აქვს, რაც ძალიან, ძალიან კარგი შედეგია. შესაბამისად, არ წყდება აჟიოტაჟი ქართველის გარშემო და ამჯერად, აზრი მადრიდის „რეალის“ თავკაცს, კარლო ანჩელოტის ჰკითხეს.

„კვარაცხელიას გვარი თქვენ ახლა გაიგეთ, მე კი იმ დროიდან ვაკვირდები, როცა მთავარ მწვრთნელად, სწორედ „ნაპოლიში“ ვმუშაობდი. მას აქვს ყველაფერი, რომ დიდი კი არა, ძალიან დიდი ფეხბურთელი გახდეს. ზოგადად, „ნაპოლიში“ საინტერესო გუნდია შეკრებილი, ახალი ბიჭები მივიდნენ, ახალგაზრდები, რომლებსაც თამაში სწყურიათ და მათ შორის კვარაცხელია აშკარად გამორჩეულია“, – განაცხადა კარლიტომ, რომელიც „ნაპოლის“ 2018-2019 წლებში წვრთნიდა. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ კვარაცხელიას ოცნების გუნდი მადრიდის „რეალია“ ანუ ის, რომელსაც ახლა ავარჯიშებს იტალიელი სპეციალისტი.

კვარაცხელიაზე ყურადღების გამახვილებას ურჩევენ „მანჩესტერ სიტის“ თავკაცს, ხოსეპ გვარდიოლას. როგორც ამბობენ, ესპანელი სპეციალისტი ჩვენებურს გამადიდებელი შუშით აკვირდება და ისე მოსწონს, **„მზად არის, საკუთარი სხეულის ნაწილი გაყიდოს და აღებული ფულით ხვიჩა შეიძინოს“,** – ასე წერს ბრიტანული მედია.

„ვუყურებ კვარაცხელიას თამაშს და საკუთარ თავს ერთადერთ კითხვას ვუსვამ – მე რატომ არ ვიყიდე, მე რატომ გამომეპარა?“ – ეს განცხადება „ლაციოს“, „რომას“, ამჟამად კი „სალერნიტანას“ სპორტულმა დირექტორმა, იტალიაში ერთ-ერთმა გავლენიანმა მენეჯერმა, ვალტერ საბატინიმ გააკეთა.

არველაძე „ჰალიდან“ გაუშვეს

როცა გასული სეზონის მიწურულს, თურქმა ბიზნესმენმა, ალი ილიჯალმა ინგლისური ჩემპიონშიპის „ჰალი“ იყიდა, მაშინვე თქვა, ჩემი გუნდი პრემიერლიგაში დასაბრუნებლად იბრძოლებს და ამაში შოთა არველაძე დამეხმარებაო. ილიჯალსა და ქართველ სპეციალისტს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ და შოთაც საქმეს ენთუზიაზმით შეუდგა, თუმცა...

გასულ ზაფხულს, სატრანსფერო სეზონზე, „ჰალი“ ისეთი აქტიური არ იყო, როგორი დაპირებაც თურქმა ბიზნესმენმა გულშემატკივრებს მისცა. გუნდში, ძირითადად, თურქეთის საშუალო კლუბების საშუალო ფეხბურთელები მივიდნენ და ამის მიუხედავად, სეზონი კარგად დაიწყო, თუმცა შემდეგ „ჰალმა“ ზედიზედ ექვსი მარცხი იგემა. სანაკრებო პაუზის დროს, მწვრთნელი და პრეზიდენტი გუნდის მომავალზე მსჯელობდნენ და ყველა დარწმუნებული იყო, რომ შოთა მუშაობას გააგრძელებდა, მაგრამ...

„სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზის დროს, შოთას რამდენჯერმე შევხდი, რათა გუნდის მიერ აღებული გეზი და ჩვენი კლუბის მომავალი განგვეხილა. ამ შეხვედრების დროს გაირკვა, რომ ჩვენი ხედვა ერთმანეთს არ ემთხვევა. ამიტომ, ჩვენ განშორება გადავწყვიტეთ“, – განაცხადა ილიჯალმა.

შოთასთან ერთად, თანამდებობა მისმა თანაშემწემ, პიტერ ვან დერ ვინმაც დატოვა და გუნდს დროებით ენდი დოუსონი გაუძღვება. მერე კი... ბრიტანული მედია წერს, „ჰალის“ მწვრთნელად თურქი სპეციალისტი დაინიშნებაო.

ეს ყველამ უნდა იცოდეს

შვედეთის ქალაქი მალმიო, როზენგარდის რაიონი. იქ ჩასახლებულ ბოსნიელ კაცსა და ხორვატ ქალს შვილი ეყოლათ, მაგრამ როგორც მერე მეზობლები ამბობდნენ, ბავშვი მათ არაფერში სჭირდებოდათ. ბიჭი ორი წლის იყო, როცა მშობლები დაშორდნენ, მამა გალოთდა და ქუჩაში ეძინა, დედა კი ფულს მეძავობით შოულობდა და ყოველდღე სახლში, სხვადასხვა მამაკაცთან ერთად ბრუნდებოდა. რამდენჯერმე მეზობლებმა მისი გასახლება მოითხოვეს, მაგრამ ეს ყველაფერი ვერ დაასაბუთეს.

ასეთ პირობებში იზრდებოდა ბიჭი, რომელიც ფიზიკური მონაცემების წყალობით, მალე მოექცა ადგილობრივი კრიმინალების თვალთახედვის არეში და არც თუ იშვიათად, წვრილმან ქურდობაზე ვარდებოდა კიდეც, თუმცა შვედური ჰუმანური კანონების მიხედვით, მას ციხეში არ უშვებდნენ, ფსიქოლოგებთან დაჰყავდათ, ეს იყო მიზეზი თუ სხვა რამ, 12-13 წლის ასაკში, ბიჭმა კარატეზე სიარული დაიწყო და კარგი შედეგებიც ჰქონდა. ამის მიუხედავად, 14 წლის ასაკში, ის კარატეს პარალელურად, ფეხბურთსა და ველოსპორტზე შევიდა, რათა მოზღვავებული ენერგია როგორმე დაეხარჯა. საბოლოო ჯამში, ის ფეხბურთს შემორჩა, თუმცა კი, კარატეშიც სერიოზული შედეგები ჰქონდა, მაგრამ როცა არჩევანის გაკეთება გახდა საჭირო, მან ფეხბურთი აირჩია. ბოსნიელი ლოთი მამაკაცისა და ხორვატი მეძავის შვილს მსოფლიო ზლატან იბრაჰიმოვიჩის სახელით იცნობს.

მანჩესტერული დერბი რონალდუს გარეშე



გასულ უქმეებზე, ინგლისის პრემიერლიგაში მანჩესტერული დერბი გაიმართა. პირობითმა მასპინძელმა „სიტიმ“ „იუნაიტედი“ მიიღო და მათ, რომლებსაც ეგონათ, რომ შეხვედრა დაძაბული იქნებოდა, ცივი წყალი პირველივე ტაიმში გადაესხათ – „სიტიმ“ 4 უპასუხო გოლი გაიტანა და ერთი ამდენის გატანა კიდევ შეეძლო. მეორე ნახევარში, მასპინძლებმა ყურადღება მოადუნეს, მხოლოდ 2 გოლი მიამატეს და სანაცვლოდ 3 მიიღეს. საბოლოო ჯამში, შეხვედრა 6:3 დასრულდა. გულშემატკივართა უმრავლესობა ელოდა, რომ პირველი ნახევრის 0:4 წაგების შემდეგ, „იუნაიტედის“ თავკაცი ერიკ ტენ ჰაგი მოედანზე კრიშტიანუ რონალდუს შეიყვანდა, მაგრამ პორტუგალიელი 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

„რატომ არ შევიყვანე მოედანზე რონალდუ? პირველი ნახევრის შემდეგ, 0:4-ს ვაგებდით ანუ შეხვედრა რეალურად წაგებული იყო და ასეთ ანგარიშზე, რონალდუს მოედანზე შეყვანა არ ვაკადრე. არ ვაკადრე მისი კარიერის გამო, მისი სიდიადის გამო, ის ამას არ იმსახურებდა, ეს მისთვის შეურაცხყოფა იქნებოდა“, – ასე უცნაურად ახსნა ტენ ჰაგმა საკუთარი გადაწყვეტილება.

სამაგიეროდ, გადასარევ ხასიათზე იყო პეპ გვარდიოლა და რაღა თქმა უნდა, ერლინგ ჰაალანდის თამაში გამოარჩია. ნორვეგიელის ანგარიშზე, „იუნაიტედის“ კარში გატანილი სამი გოლია.

„პრემიერლიგაში გამართულ 8 შეხვედრაში, ჰაალანდმა 14 გოლი გაიტანა და 3 საგოლე გადაცემა გააკეთა. რას ვიტყვი? მისი სტატისტიკა მაშინებს“, – აღნიშნა კატალონიელმა.

ფედერერმა ოქროს სიტყვები დატოვა

ლეგენდარულმა ჩოგბურთელმა, ბევრის აზრით, ყველა დროის საუკეთესომ, როჯერ ფედერერმა კარიერა გასულ კვირას დაასრულა. მას ცრემლებით გამოემშვიდობა ასევე ლეგენდარული სერენა უილიამსი, რომელმაც ჩოგანი ლურსმანზე ფედერერამდე ერთი კვირით ადრე ჩამოკიდა და აღნიშნა, რომ შვეიცარიელი მისთვის ყველა დროის ყველაზე საუკეთესო სპორტსმენია. რაღა თქმა უნდა, პენსიაზე გასულ როჯერს ჟურნალისტები დასდევენ და ეკითხებიან, რას გრძნობს, როცა ყოველ დილით სავარჯიშოდ ადგომა აღარ უწევს ანუ არ აკეთებს იმას, რასაც ბოლო 30 წლის განმავლობაში აკეთებდა.

„რაღაცებს ახლა უკეთესად აღვიქვამ. მაგალთად, მე წავაგე კარიერის ბოლო მატჩი ერთეულებში, მე წავაგე კარიერის ბოლო მატჩი წყვილებში, მე წავაგე კარიერის ბოლო ფინალი, მაგრამ დილით ვიღვიძებ და ვხვდები, რომ ცხოვრება მშვენიერია. ამიტომ, არ შეუშინდეთ არანაირ მარცხს, დამარცხება დასასრულს არ ნიშნავს. ამას მე გეუბნებით, კაცი, რომელმაც ბოლო სამი შეხვედრა წააგო და მაინც, მე ისევ როჯერ ფედერერი ვარ“, – განაცხადა შვეიცარიელმა.

ფეხბურთი წესების გარეშე

ინდონეზიის კუნძულ ჯავას აღმოსავლეთ ნაწილის კლუბმა „არემამ“ გასულ უქმეებზე, საკუთარ მოედანზე, პრინციპულ მეტოქესთან, „პერსებაიასთან“ 3:2 წააგო. რა თქმა უნდა, ინდონეზიის ჩემპიონატის შეხვედრა ჩვენს ყურადღებას არანაირად არ მიიპყრობდა, რომ არა ერთი ფაქტი – მატჩის შემდგომ, გაბრაზებული გულშემატკივარი მოედანზე შეიჭრა და ფეხბურთელებს ფიზიკურად გაუსწორდა. უფრო სწორად, მათ ამის გაკეთება დააპირეს და საქმეში სამართალდამცავები ჩაერთნენ. პოლიციელთა გამოჩენამ მაყურებელი უფრო გააღიზიანა და მოედანზე ლამის მთელი ტრიბუნა ჩავიდა. საბოლოო ჯამში, საფეხბურთო მატჩი გულშემატკივრებსა და პოლიციის სპეცდანიშნულების დანაყოფს შორის სისხლიან შეტაკებაში გადაიზარდა.

„ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. შეწყდება ყველა საფეხბურთო ღონისძიება, სანამ არ გავერკვევით, რა გვჭირს და საით მივდივართ. ყოველი საფეხბურთო მატჩის დასრულებას მხოლოდ მე კი არა, მთელი ქვეყანა შიშით ელოდება, ან ფეხბურთს საერთოდ არ ვითამაშებთ, ან თამაშის ყურებას ვისწავლით“, – გაცოფებული იყო ინდონეზიის პრეზიდენტი და მართალიც გახლდათ – აღნიშნულ შეტაკებას ორივე მხრიდან 174 ადამიანი ემსხვერპლა.

„ეს სისხლის სამართლის დანაშაულია“

ია გრიგალაშვილი

როგორ დავამარცხოთ ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა – ინტერვიუ „ანტიმეკობრული ცენტრის“ დირექტორთან

22 აგვისტოს, ვებ-გვერდები, რომელთა საშუალებითაც, ყოველდღიურად, უამრავი ადამიანი სხვადასხვა ფილმსა და სერიალს უფასოდ უყურებდა, გაითიშა. საიტების გათიშვას მფლობელების განმარტება არ მოჰყოლია, თუმცა მალევე ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული საიტები არალეგალურად მუშაობდნენ და პროდუქტზე ლიცენზია არ ჰქონდათ. მოგვიანებით, კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ არალეგალური კონტენტის მქონე საიტების გათიშვასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც ეწერა, რომ მოპარული კონტენტის ინტერნეტით გავრცელება კანონით აკრძალულია. კომისიის განმარტებითვე, ვებ-გვერდებს, რომლებიც პირატულ აუდიო-ვიზუალურ პროდუქციას ავრცელებენ, ორწლიანი ვადა მისცეს, რომ საკუთარ პლატფორმებზე განთავსებული კონტენტი კანონთან შესაბამისობაში მოეყვანათ და ლეგალურად განეთავსებინათ.

ჯერ კიდევ 2019 წელს, გავლენიანი ამერიკული კინოსტუდიების საერთო დისტრიბუტორმა, კომპანია Motion Picture Association of America-მ, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს გამაფრთხილებელი წერილით ინტერნეტსივრცეში ფილმების განთავსების კანონიერად დარეგულირება მოსთხოვა. 2021 წლის ნოემბერში, ჰოლივუდის დიდი კინოსტუდიების ამავე გაერთიანების მიმართვის საფუძველზე, „ინსტაგრამსა“ და „ფეისბუქზე“, ქართული მეკობრული ვებ-გვერდების სოციალური მედიის ანგარიშები წაიშალა. 2022 წლის მაისში კი ცნობილი გახდა, რომ ევროკავშირის წევრობის კითხვარში მნიშვნელოვანი ადგილი, სწორედ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ვალდებულებას ეჭირა, რომლის კიდევ უფრო ქმედითად აღსრულება საქართველომ თავის თავზე აიღო.

ასევე, 15 აგვისტოს, „Cavea+“ ამუშავდა, რომელიც მომხმარებელს წარუდგა, როგორც პირველი ქართული ლეგალური ონლაინ-კინოთეატრი. იგი პირველი თვის განმავლობაში, მაყურებლებს უფასო კონტენტს სთავაზობს, შემდეგ კი ერთთვიანი პაკეტი 9.00 ლარი ეღირება, რომელიც შესაძლოა, ხუთმა ადამიანმა გაიყოს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ვებ-გვერდი ახალია, ჯერჯერობით, ვერ შეძლო ფილმების იმ რაოდენობით შემოთავაზება, რასაც აქამდე, მომხმარებელი უფასოდ ნახულობდა. ხალხმა პირატული საიტების დაბლოკვა „კავეა პლუსსაც“ დაუკავშირა და მას სდებდა ბრალს. სწორედ ამიტომ, დეტალების გასარკვევად, „ვერსია“ „კავეა პლუსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელს დაუავშირდა, რომელიც თავდაპირველად ინტერვიუზე დაგვთანხმდა, თუმცა შემდეგ აღარ გვიპასუხა.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მეკობრული საიტების დაბლოკვა ქვეყნისთვის და რა ზიანი მოჰქონდათ მათ კინოინდუსტრიისთვის, „ვერსია“ „ანტიმეკობრული ცენტრის“ ხელმძღვანელ ზურა ბეშაშვილს ესაუბრა:

– ჩვენი ქვეყნისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო. ჩემი აზრით, დიდი ხნით ადრე უნდა გაკეთებულიყო ყველაფერი, მაგრამ ჩავთვალოთ, რომ ახლა გვქონდა ბოლო ვადა, აგვერჩია ევროპული გზა და სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილებები მიგვეღო. პირველ რიგში, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, საერთაშორისო საზოგადოების მიერ გაჟღერებული პოზიციაა, რომ საქართველოს აუცილებლად უნდა განეხორციელებინა ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. ჯერ კიდევ ასოცირების შეთანხმებით ავიღეთ ვალდებულება, რომ უზრუნველვჰყოფდით ამის პრაქტიკულ აღსრულებას არა მხოლოდ კანონის დონეზე, არამედ, ყოველდღიურ საქმიანობაში. როდესაც ევროკავშირის წევრობაზე გავაკეთეთ განაცხადი, იქ ერთ-ერთი თავი ეთმობა ამ საკითხს, ჩვენ ვუპასუხეთ კითხვებს, თუ რამდენად მდგრადი მექანიზმები გვაქვს ყოველდღიურად, ინტელექტუალური საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლაში და რამდენად ეფექტიანად ვიყენებთ ამ მექანიზმებს. შესაბამისად, ამ კითხვების პასუხები მნიშვნელოვანია, რათა გავხდეთ ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი. გარდა ამისა, საერთაშორისო ჰოლივუდური კინოსტუდიების პირდაპირი მოთხოვნა იყო, სასწრაფოდ დაბლოკილიყო მეკობრული ვებ-გვერდები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქვეყნის განვითარებას და აფერხებდნენ კინოინდუსტრიას საქართველოში. მახსენდება არაერთი შემთხვევა, როდესაც ქართული ფილმის წარუმატებლობა პირდაპირ იყო დამოკიდებული ამ პირატული ვებ-გვერდების არსებობაზე. რამდენიმე ხნის წინ, „ნეტფლიქსმა“ შეიძინა „ჩემი ბედნიერი ოჯახი“, შემდეგ შემოსავალი ვერ ნახა და უარი თქვა ქართული ფილმების შესყიდვაზე. მაშინ ეს იყო უდიდესი შესაძლებლობა ქართული ფილმისთვის. ამის გამო, ვერ ვხდებოდით ევროპული ოჯახის წევრი, რომელიც გულისხმობს უარს გრანტების გაცემაზე, 15 ინდუსტრიული მიმართულებით. ასევე, ქართული ინტერნეტ-სივრცეც სერიოზული პრობლემის წინაშე დადგა, რადგან სარეკლამო შემოსავლის 80-90% მიდიოდა პირატულ ვებ-გვერდებზე. შესაბამისად, სხვა ვერ ქმნიდა ღირებულ ფასიან კონტენტს. ძნელია, დააინტერესო ვინმე, როდესაც სხვა პირატულ საიტს ფილმების უდიდესი ბიბლიოთეკა აქვს მოპარული და უფასოდ გთავაზობს. ქართული ფილმები, რომლებიც ბოლო ათი წლის განმავლობაში გამოდიოდა, მომხმარებლამდე ვერ აღწევდა, მხოლოდ საქართველოსთვის იქმნებოდა, რადგან საზღვარგარეთ არავინ ყიდულობდა. მთლიანობაში, კომპლექსურად უდიდესი პრობლემა იყო ქვეყნისთვის და ძალიან სასიხარულოა, რომ ეს ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა რეალურად, ეს ვებ-გვერდები ჯერ ბოლომდე მაინც არ დახურულა, უბრალოდ, წვდომა შეიზღუდა. ისინი არალეგალურად კვლავ აგრძელებენ საქმიანობას, კანონის გვერდის ავლით ცდილობენ მომხმარებელს კვლავ მიაწოდონ ფილმები, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. უახლოეს მომავალში ველოდებით, რომ მათ წინააღმდეგ დაიწყება გამოძიება და ყველა პირი მიეცემა პასუხისგებაში.

– ამ ვებ-გვერდების დაბლოკვისთანავე, საზოგადოებიდან წამოვიდა დიდი აგრესია, ნაწილობრივ, ეს გასაგებიცაა, რადგან მაყურებელი ფილმების გარეშე დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინვე „კავეა პლუსმა“ დაიწყო ფუნქციონირება, მან ვერ უზრუნველჰყო ფართო არჩევანის შეთავაზება. ხალხის აზრით, სჯობდა, ჯერ ბოლომდე ჩამოყალიბებულიყო გამართული მრავალფეროვანი პლატფორმა და შემდეგ დაბლოკილიყო პირატული ვებ-გვერდები, არ მეთანხმებით?

– როდესაც რამე უფასოა, ამ დროს შეუძლებელია, გაჩნდეს ალტერნატივა. როცა საიტი 35 000 ფილმს უფასოდ სთავაზობს მომხმარებელს, შეუძლებელია, ავდგე, ერთ ფილმში 35 000 გადავიხადო და ლეგალურად მივაწოდო მაყურებელს, რადგან ამ შემთხვევაში, მილიარდობით ლარის ხარჯი მაქვს, ის კი უფასოდ იპარავს. თუ მეკობრეობა ამ დონეზეა, ვიმეორებ, შეუძლებელია, ალტერნატივის გაჩენა. ეს რთული პროცესი ქვეყანამ უნდა გაიროს და საზოგადოებამაც გააცნობიეროს, რომ ფილმი არ არის საჩუქარი. რეჟისორი მას მხოლოდ იმიტომ არ იღებს, რომ მომხმარებელს ასიამოვნოს, ეს არის ჩვეულებრივი ინდუსტრიული ბიზნესი. თუ ბიზნეს-ოპერატორი აირჩევს, რომ რეკლამიდან მიღებული შემოსავალი გაუყოს ფილმის მწარმოებლებს, მაშინ იქნება ლეგალური პლატფორმა. წლების განმავლობაში, ქართულ პირატულ ვებ-გვერდებს შეეძლოთ ამის გაკეთება, თუმცა მოკლე ვადაში გამდიდრება და კრიმინალი ამჯობინეს. პირველი აგრესია მათ მიმართ უნდა წამოვიდეს, რადგან გაძარცვეს კინოსტუდიები იმის ხარჯზე, რომ საზოგადოებაში პოზიტიური იმიჯი შეექმნათ. ახლა ეს საზოგადოება სტუდიებს ლანძღავს, რატომ დაბლოკეთ ვებ-გვერდები, რომლებიც ფილმებს გპარავდათო. ინფორმაცია თუ კარგად იქნება მიწოდებული, დარწმუნებული ვარ, მოქალაქეები ამას სწორად შეაფასებენ. მოკლევადიან პერსპექტივაში, რთულია ისეთი პლატფორმის შექმნა, რომელიც დააბალანსებს აქამდე არსებული პლატფორმების შემოთავაზებულ კონტენტს, ეს ექვს თვეშიც ვერ მოხდება. რთული დავალებაა, მაგრამ, სადაც არის მოთხოვნა, იქ ჩნდება მიწოდებაც. ეს არის ბიზნესპროცესი, რომელიც აუცილებლად დაბალანსდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

– საზღვარგარეთ, დიდი ხანია, ამ საკითხს კანონი არეგულირებს, თუმცა მეკობრული ვებ-გვერდები იქაც არსებობს. ამის კონტროლი, ალბათ, საქართველოში შედარებით მარტივი იქნება, რადგან პატარა ქვეყანა ვართ, ხომ?

– დიახ, პატარა ქვეყნის სტატუსი ძალიან გვეხმარება, რადგან კონტროლი ბევრად მარტივია. ევროპის ქვეყნებში, მეტ-ნაკლებად, მეკობრეობის დონე დარეგულირებულია და ჩვენც მათ საუკეთესო პრაქტიკას გავიზიარებთ. მუდმივად კონტაქტზე ვართ საერთაშორისო კოლეგებთან, რათა ამ პროცესების მონაწილენი ვიყოთ. განვითარებულ ქვეყნებში, ეს პასუხისმგებლობა საზოგადოებაზეა გადასული, მაგალითად, გერმანიასა და საფრანგეთში, თუ სახლში ვინმე მეკობრულ ვებ-გვერდს უყურებს, ჯარიმა მისდის. ძალიან შორს ვართ იმისგან, რომ მომხმარებელს დავაკისროთ ეს, ამიტომ, ჩვენს წილ პასუხისმგებლობას ვხედავთ, საზოგადოებას სწორად ავუხსნათ, ცნობადობის დონეზე ყველაფერი ეს შევცვალოთ და მეკობრეობას გამოვუცხადოთ აქტიური ბრძოლა. ასევე, წავახალისოთ ლეგალური მოთამაშეები. თუ საზოგადოება განვითარდება და მაღალ მორალურ სტანდარტებს დააწესებს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მსგავს რეგულირებაზე გადასვლა. ახლა ჩვენთვის მთავარი გამოწვევაა, მეკობრულ ვებ-გვერდებს, რომლებსაც თბილისში ოფისები აქვთ, გამოვუცხადოთ ბრძოლა, რომ გადავიდნენ მიწისქვეშა საქმიანობაზე, რაც კრიმინალია. თუ ყველა მიმართულებით კარგი შედეგი გვექნება, საქართველოში მეკობრეობას დავამარცხებთ.

ლუდი დემენციის წინააღმდეგ

ყოველდღიურად ორი კათხა ლუდი დემენციის რისკს ამცირებს, მიაჩნიათ სწავლულებს „მწვანე კონტინენტიდან“. ავსტრალიელებმა 60 წელს ზემოთ, 25 ათასი ადამიანის ასაკობრივი ჭკუასუსტობის შესახებ მონაცემები გააანალიზეს. აღმოჩნდა, რომ ისინი, რომლებიც დღეში ორ კათხა ქარვისფერ სითხეს სვამდნენ, სამჯერ უფრო ნაკლები ჰქონდათ მეხსიერების დაქვეითების პრობლემა, ვიდრე მათ, რომლებიც ლუდს საერთოდ არ მიირთმევდნენ. ამავდროულად, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეს სპირტიანი სასმელი სასარგებლო მხოლოდ მისი ზომიერად მიღების შემთხვევაში იქნება.

ყველაზე უარესი ტუალეტი იპოვა



ინგლისელმა მამაკაცმა 160 ათასი დოლარი დახარჯა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობასა და იმის დადგენაში, სად არის მსოფლიოში ყველაზე საშინელი საზოგადოებრივი ტუალეტი. მწერალმა და მოგზაურმა გრემ ასკიმ, ამ მიზნით, მთელი დედამიწა შემოიარა და ჩათვალა, რომ ასეთი ადგილი ტაჯიკეთშია. საპირფარეშოს, რომელიც უფრო მეტად მოქანავე კედლებიან კარავს ჰგავს, ბრიტანელმა „ჯოჯოხეთური ხვრელი“ უწოდა. ასკის თქმით, ამ ტუალეტით სარგებლობისას არის რისკი, რომ საშიშ გველებსა და ვირთხებს გადაეწყდეთ, რომლებიც ახლოს მდებარე კლდეებში ბუდობენ. ამ საზოგადოებრივი „დაწესებულებით“ ადგილობრივებიც კი არ სარგებლობენ, თუ ძალიან გამოუვალ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ. მოგზაურობისას, გრემმა წიგნიც დაწერა, სახელწოდებით – „ველური საზღვრის ტუალეტები“, რომელიც უკვე გაყიდვაშია.

პლედები – ოფისებში გასათბობად

დანიაში, საზოგადოებრივ დაწესებულებებში, გათბობის ტემპერატურის ზღვარი 19 გრადუსამდე დააწესეს. სანაცვლოდ, ოფისების თანამშრომლებს თბილ ტანსაცმელსა და პლედებს სთავაზობენ. ამ ქვეყნის ხელისუფლებამ კერძო კომპანიებსაც მოუწოდა, მათ მაგალითს მიბაძონ. სააგენტო Finans Watch-ის გამოკითხვებით, საფინანსო დაწესებულებების უმრავლესობამ ჩინოვნიკების რეკომენდაციები გაითვალისწინა. მაგალითად, დანიაში, სიდიდით მეხუთე ბანკმა საკუთარ Spar Nord Bank თანამშრომლებს, დაახლოებით, 1600 ადამიანს პლედები და თბილი ჟილეტები დაურიგა. უფრო ადრე, თბილ ტანსაცმელს კლიენტებს სთავაზობდნენ, თუმცა ამჟამინდელ პირობებში, ის პერსონალსაც შეუძლია გამოიყენოს.

სახლში ცხრა კონდიციონერი დაამონტაჟა

სინგაპურში, ერთ-ერთი სახლის მცხოვრებლებმა მეზობელს უჩივლეს, რომელმაც საკუთარ ბინაში ცხრა კონდიციონერი დაამონტაჟა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, ამის გამო, ადამიანებს ობთან ბრძოლა უწევთ, რაც დიდი რაოდენობის კონდენსატის ფონზე ჩნდება. მამაკაცის ბინაში ტემპერატურა მუდმივად 18 გრადუსია – ეს გახდა იმის მიზეზი, რომ მეზობელ ბინებში, კედლებზე კონდენსატი წარმოიქმნა და მერე შავი ობი გაჩნდა. კონდიციონერების პატრონი, 63 წლის პენსიონერი აცხადებს, რომ სახლში გრილი და მუდმივი ტემპერატურა მას იმუნიტეტის გაკაჟებაში ეხმარება.

ფულს თაგვების „ნახატებით“ შოულობს

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა, 21 წლის სტეფ ტუგუდმა შემოსავლის მიღების უჩვეულო მეთოდი მოიფიქრა. გოგონამ შინაურ ცხოველებს – თაგვებს ფურცელზე ხატვა ასწავლა. მისი დახმარებით, მღრღნელები თათებს საღებავიან ქილაში ჰყოფენ და ამის შემდეგ, ფურცელზე გასასეირნებლად მიდიან. მიღებული შედევრები საკმაოდ პოპულარული გახდა სოციალურ ქსელში და უამრავმა ადამიანმა გამოთქვა ამ უჩვეულო ნახატების შეძენის სურვილი. ამჟამად, სტეფსა და მის საყვარელ ცხოველებს საკუთარი მაღაზიაც აქვთ, სადაც არა მარტო ნახატების, არამედ, სუვენირების შეძენაც შეიძლება.

ყველაზე გრძელი წიგნი იყიდება



ფრანგული გამომცემლობა – JBE Books, დღეს არსებულ ყველაზე გრძელ წიგნს ჰყიდის. როგორც The Guardian-ი წერს, ეს One Piece კომიქსების ერთტომეულია, რომლის ავტორია იაპონელი მხატვარი, ეიიტირო ოდა. წიგნში 21 450 გვერდია. როგორც გამომცემლები იუწყებიან, დიდი მოცულობის გამო, ნაწარმოების წაკითხვა შეუძლებელია. მათი თქმით, ის წიგნი კი არა, უფრო ქანდაკებაა. ლიმიტირებული ერთტომეული გასაყიდად – 2150 დოლარადაა გატანილი. ნახატების ავტორი ოდაა, მაგრამ წიგნი მისმა ბელგიელმა კოლეგამ, ილან მანუახმა შექმნა. მან იაპონური ციფრული გამოცემის ილუსტრაციები დაბეჭდა და ერთ წიგნად აკინძა.

უძველესი შოკოლადი გაყიდეს



ნისლიან ალბიონზე შოკოლადის ფილა გაყიდეს აუქციონზე, რომლის ასაკიც, მეცნიერების დათვლით, 122 წელი იყო. აღნიშნავენ, რომ ტკბილეული ჯერ კიდევ დედოფალ ვიქტორიას მმართველობის დროს, 1899 წელს დაამზადეს. ბრიტანული კომპანია Rowntree-ის პროდუქცია ლინკოლნშირში, ერთ-ერთი სახლის სხვენზე, ნაგვის ყუთში იპოვეს. ვარაუდობდნენ, რომ შოკოლადის ფილის ღირებულება 100-დან 200 გირვანქა სტერლინგამდე იქნებოდა, თუმცა აუქციონზე, როგორც ისტორიული არტეფაქტი, ის 519 გირვანქად გაიყიდა.

მარტოხელებისთვის ოჯახებს აქირავებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში, ბევრი კომპანია მუშაობს, რომლებიც იქაურებს „ოჯახის დაქირავების“ სერვისს სთავაზობენ. ამ ფირმების მფლობელები აცხადებენ, რომ ასეთი მომსახურება ადამიანს ბედნიერებას ანიჭებს. ის მათთვისაა განკუთვნილი, რომლებმაც ახლობლები დაკარგეს და მარტონი დარჩნენ. ქირავდება მთლიანი ოჯახი, ასევე პარტნიორი, ვისაც კულტურულ ღონისძიებაზე ან ქორწილში წასვლა სურს. ოჯახის დაქირავების მსურველმა სპეციალური ანკეტა უნდა შეავსოს და მიუთითოს, ვინ სჭირდება. კომპანიების ბაზაში დაქირავების სერვისში ჩართული 2 ათასამდე მსახიობია. ისინი ხან მშობლების, ხან პარტნიორის, ხან კი ოჯახის წევრების როლებს ასრულებენ.

ნარჩენებისგან კვერცხის შემცვლელს ამზადებენ

სწავლულთა ჯგუფმა, სინგაპურის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან, უჩვეულო გამოყენება მოუძებნა ლუდის წარმოების ნარჩენებს. მკვლევარებმა მის საფუძველზე მცენარეული ემულგატორი შექმნეს, რომელიც კვერცხის გულს ჩაანაცვლებს მაიონეზსა და ნაყინში. ემულგატორები პროდუქტს ერთგვაროვანი მასის შენრჩუნებაში ეხმარება და არ აძლევს მას საშუალებას, რამდენიმე სითხედ გაიშალოს. მაგალითად, ზეთი და წყალი გამოიყოს მაიონეზში ან სხვა სოუსებში. ჩვეულებისამებრ, სტაბილიზატორად კვერცხის გულს იყენებენ, თუმცა, სწავლულებმა მას უსაფრთხო, მცენარეული შემცვლელი მოუძებნეს. ამისთვის მათ ლუდის ხარშვისთვის გამოყენებული მარცვლეული აიღეს – ყოველწლიურად მსოფლიოში 39 მილიონი ტონა ასეთი ნარჩენი იყრება ნაგავში და ატმოსფეროს აბინძურებს. სპეციალისტებმა კი მისგან, ახალი ტექნოლოგიის წყალობით, მცენარეული ემულგატორი მიიღეს, რომელიც გემობრივი თვისებებით არ ჩამოუვარდებს ჩვულებრივს. მის გამოყენებას ნაღების ნაყინისა და სოიოს რძის წარმოებაში აპირებენ.

ნაბახუსევის მუზეუმი გახსნეს

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში, მსოფლიოში პირველი, ნაბახუსევის მუზეუმი მუშაობს. ამ უჩვეულო ადგილის სტუმრებს შეუძლიათ, შეიტყონ რეალური ისტორიები, რაც ალკოჰოლის მიღების შემდგომ მდგომარეობას უკავშირდება. დამთვალიერებელს შეუძლია, ნაბახუსევთან დაკავშირებული საკუთარი ამბებიც მოყვეს, ნახოს უჩვეულო ექსპონატები, ასევე, შეამოწმოს რეფლექსები, თუკი სიმთვრალის ეფექტის მქონე სათვალეს გაიკეთებს. როგორც ამ დაწესებულების ორგანიზატორები ამბობენ, ნაბახუსევის მუზეუმის ძირითადი მიზანია, მეტი ინფორმაცია მისცენ ადამიანებს ალკოჰოლური სასმელების მოხმარების ნეგატიური შედეგების შესახებ. მუზეუმში შესვლა უფასოა, თუკი „სიმთვრალის სათვალეს“ გაიკეთებთ და სამიზნეს ისარს „ცხრიანში“ გაარტყამთ. დანარჩენებისთვის შესვლა 4 ევრო ღირს.

ვეგეტარიანელობა დეპრესიას იწვევს

კვლევების თანახმად, რომელიც ბრისტოლის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს, ვეგეტარიანელები დეპრესიის განვითარების უფრო მაღალი რისკქვეშ არიან, ვიდრე ისინი, რომელთა რაციონიც დაბალანსებულია და ხორცის პროდუქტებსაც შეიცავს. 10 ათასი ადამიანის მონაცემების გაანალიზების შედეგად, სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ვეგეტარიანული დიეტის მიმდევრებს ორჯერ უფრო ხშირად აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ვიტამინებისა და მინერალების ნაკლებობის გამო. ვეგეტარიანელებს არ ჰყოფნით ბე-12 ვიტამინი, რომელსაც ხორცეული შეიცავს და რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს განწყობის დარეგულირებაში. კვლევების შედეგად მიღებული მონაცემებით, ვეგანების დაახლოებით 50% და ვეგეტარიანელების 7%, ამ ვიტამინის დეფიციტს განიცდის. გარდა ამისა, მცენარეული რაციონის მიმდევრები იშვიათად მიირთმევენ ზღვის პროდუქტებს, რაც ასევე, შეიძლება, დეპრესიული სიმპტომების განვითარების მიზეზი გახდეს. რაციონში რკინის ნაკლებობა კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც, შესაძლოა, ვეგეტარიანელები განწყობის აშლილობას უჩიოდნენ.

ვაქცინები სიმსივნეს იწვევს

აშშ-ს მედიკამენტებსა და სურსათზე სანიტარული ზედამხედველობის სამმართველოს კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უჯრედული მასალა, რომელსაც ბევრი ვაქცინის შექმნის პროცესში იყენებენ, ძალიან ხშირად დაინფიცირებულია ვირუსებით, რომელთაც ონკოლოგიური დაავადებების გამოწვევა შეუძლიათ. გამოკვლევას დოქტორი არიფა კჰანი ატარებდა. კვლევაში ნახსენებია სხვადასხვა ვირუსული ვაქცინები, მაგალითად, გრიპის სეზონური ვაქცინები – დამზადებული ცოცხალ უჯრედებზე ან უჯრედულ სუბსტრატებზე. ხშირად, ეს უჯრედები ვირუსების დაფარული ფრაგმენტებითაა დაინფიცირებული და შესაბამისად, ადამიანი, რომელსაც მას შეუყვანენ, შესაძლოა, წლების შემდეგ დაავადდეს. ეს ფარული ანუ „ჩუმი“ ვირუსები პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან მათ ვაქცინის შექმნის პროცესში შეუძლიათ გააქტიურება – ამტკიცებენ სპეციალისტები. ზედამხედველობის სამმართველოში აცხადებენ, რომ ამ ფარული ვირუსების გააქტიურების ახალ მეთოდებზე მუშაობენ, რათა ისინი ადამიანის ორგანიზმში შეყვანამდე გამოავლინონ და გააუვნებელყონ.

ᲓᲐᲛᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲘ ᲑᲘᲣᲠᲝ ᲗᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ამომავალი მზის ქვეყანაში, სექს-თოჯინების უტილიზაციის სერვისი ამოქმედდა. ეს სერვისი იმით გამოირჩევა, რომ ჩვეულებრივი უტილიზაციის ნაცვლად, კომპანია ნამდვილ დაკრძალვებს აწყობს. მოქმედებს რამდენიმე პაკეტი. თუკი კლიენტი შეუკვეთავს სტანდარტულ პაკეტს, მასში შედის დაკრძალვისთვის მომზადება, ბოლო ფოტო „საყვარელთან“, თავად უტილიზაციის პროცესი და შესაბამისი სერტიფიკატის გადაცემა. „მგლოვიარეს“, სურვილის მიხედვით, უტილიზაციის ვიდეომტკიცებულებასაც გადასცემენ. ასეთი მომსახურება კლიენტს 460 დოლარი დაუჯდება. პრემიუმ-პაკეტში, რომლის ღირებულებაც 830 დოლარია, „მგლოვიარეს“ შეუძლია „დაკრძალვის“ ცერემონიას დაესწროს. „გარდაცვლილს“ სპეციალური სარიტუალო დანებით დაშლიან, სხეულის ზოგიერთ ნაწილს კი სამახსოვროდ კლიენტს გადასცემენ. არის ეკონომიური ვარიანტიც 280 დოლარად – ამ თანხით, სექს-თოჯინას ვიდეოგადაღების გარეშე „დაკრძალავენ“ და მფლობელს სერტიფიკატს გადასცემენ.

სმარტფონებს ჰაერიდან დავმუხტავთ

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სწავლულებმა მოწყობილობა შექმნეს, რომელსაც ელექტროენერგიის წარმოება ატმოსფეროდან შეუძლია. ეს მოწყობილობა გარემოს ტემპერატურის ყოველდღიურ რყევებზე რეაგირებს. დღე-ღამეს შორის, ცელსიუსის 10-გრადუსიანი განსხვავებისას, აპარატი 1.3 მილივოლტ ენერგიასა და 350 მილივოლტ პოტენციურ ენერგიას გამოიმუშავებს. ეს მარტივი სენსორებისა და საკომუნიკაციო აღჭურვილობის დასამუხტად სავსებით საკმარისია. მოწყობილობის შიგნით, სპილენძისა და ნიკელისგან დაფარული ლითონის ქაფია, რომელსაც სპეციალური ცვილი ემატება. შედეგად, აპარატის ერთი მხარე წარმოქნის სითბოს მაშინ, როდესაც მეორე მხარე აგროვებს მას. სპეციალისტები მოწყობილობის ძალის განვითარებას გეგმავენ, რათა მან სმარტფონების დამუხტვა შეძლოს.

ᲬᲜᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲞᲝᲛᲘᲓᲝᲠᲘᲡ ᲧᲘᲓᲘᲐᲜ

ამომავალი მზის ქვეყანაში, გაყიდვაშია პომიდორი, შესწორებული გენომით – მათში ხუთჯერ მეტი გამა-ამინომჟავებია. ის არტერიულ წნევას აქვეითებს და გულის რიტმს ანელებს. ამგვარად, ახალი პომიდორი ადამიანებს წნევის დარეგულირებაში უნდა დაეხმაროს. ახალ ჯიშს Sicilian Rouge High GABA უწოდეს და კუმამოტოს პრეფექტურაში მოჰყავთ. აღსანიშნავია, რომ პომიდორი შესწორებული გენომით – ეს პირველი პროდუქტია იაპონიის ბაზარზე. გენმოდიციფირებული ბოსტნეულისგან კი იმით განსხვავდება, რომ მათ დნმ-ში არ არის ხელოვნური გენი. პომიდორი CRISPR/Cas-ის ტექნოლოგიის დახმარებით გამოიყვანეს.

ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ ᲙᲚᲐᲣᲡᲢᲠᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მეორე მსოფლიო ომის დროს, საფრანგეთის ჩრდილოეთით, ბრეტანში გერმანელი სამხედროების მიერ აშენებული ბუნკერი შეარემონტეს და ის მიწისქვეშა სასტუმროდ აქციეს. ენთუზიასტმა სერჟ კოლიუმ 1940 წელს აშენებული ბუნკერის გარშემო მდებარე მიწის ნაკვეთი შეიძინა, მერე კი წელიწადნახევარი მის ქვიშისაგან გასუფთავებასა და გარემონტებას მოანდომა. შედეგად, მშვენიერი სასტურმო-სახლი გამოვიდა, რომელსაც ერთდროულად, 20 ადამიანის მიღება შეუძლია. სერჟმა მიწისქვეშა სასტუმროში ეპოქის ატმოსფერო შეინარჩუნა, რისთვისაც ინტერიერი იმ დროის ატრიბუტიკით შეავსო. ბუნკერ-სასტუმროში ღამის გათევა ექვს მოგზაურს 375 დოლარი დაუჯდება.

კბილების დაკარგვა გულსაც ვნებს

კბილების დაკარგვა, რომელიც კბილის ქსოვილის დაშლითაა გამოწვეული, ხელს უწყობს გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას, თანაც, ის უფრო ძლიერი ფაქტორია, ვიდრე სიმსუქნე, ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარება, ხანდაზმულობა ან დიაბეტი. სწავლულებმა 40-დან 79 წლამდე, 317 ათასამდე ამერიკელის დაავადებების ისტორია გაანალიზეს და დაადგინეს, რომ პაციენტთა 28%-ს, რომელტაც გულსისხლძარღვთა დაავადებები ჰქონდათ, ადრე ერთი ან რამდენიმე კბილი დაკარგეს პაროდონტიტის გამო. მკვლევართა მოსაზრებით, პირის ღრუში ანთებით პროცესებსა და გულის დაავადებებს შორის კავშირის დადგენა ხელს შეუწყობს ჰიპერტონიის, სტენოკარდიის, ინსულტისა და სხვა ისეთი დაავადებების ადრეულ დიაგნოსტიკასა და პროფილაქტიკას, რაც სიკვდილის მიზეზი ხდება.

უძილობა ყველაზე მეტად ვნებს

კემბრიჯის უნივერსიტეტის სწავლულებმა ახალი ექსპერიმენტისას, რომელშიც მონაწილეობდა 21 ათასი ადამიანი, დაადგინეს, რომ მოწევა, არასწორი კვება და ალკოჰოლის მოხმარება ადამიანის შრომისუნარიანობაზე უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს, ვიდრე უძილობა. ექსპერიმენტის მონაწილეთა ნაწილი, რომელსაც დღე-ღამეში ექვსი ან ნაკლები საათი ეძინა, გაცილებით ნაკლებპროდუქტიული იყო სამსახურში, ვიდრე ის ჯგუფები, რომლის მონაწილეებსაც სრულფასოვანი ძილით ეძინათ. მეცნიერებმა ასევე აღმოაჩინეს კავშირი ადამიანის ფსიქოლოგიურ პრობლემებსა და სამუშაოს პროდუქტიულობას შორის და დაამტკიცეს, რომ ფინანსური სიძნელეები ნეგატიურად აისახება სამუშაოს ხარისხზე.

გონებრივი შესაძლებლობები წყალზეა დამოკიდებული

ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები წყალზეა დამოკიდებული – ასეთ განცხადებას აკეთებენ ამერიკელი სწავლულები. მათი თქმით, წყალი შეუცვლელი რესურსია ორგანიზმისთვის და ასევე არის სუბსტანცია, რომელიც ტვინის მუშაობას უზრუნველყოფს. მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ თავის ტვინის შიგნით განთავსებულია რეცეპტორები, რომლებიც აქტიურდებიან ორგანიზმში წყლის მიწოდებით. ამ რეცეპტორების ამოცანაა, გაძლიერონ ტვინის აქტიურობა სპეციალური ენერგეტიკული პროცესების ხარჯზე. სწავლულები გვირჩევენ, რომ წყალი ქაოტურად კი არა, გარკვეული რეჟიმის დაცვით მივიღოთ. მაგალითად, რამდენიმე ყლუპი დალიონ საუზმემდე და მის შემდეგ, მერე კი სისტემატურად, დღის ერთსა და იმავე დროს. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ამგვარად ტონუსი აიწევს მთელ ორგანიზმში, ადამიანი უფრო მეტი ენერგიით აღივსება და გაუმჯობესდება ინტელექტუალური უნარები. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წყალი ხარისხიანი, ანუ მაქსიმალურად სუფთა იყოს.

ნახშირწყლები უძილობას იწვევს

ძილის სურვილი შეიძლება გაგიქრეთ, თუკი თქვენს რაციონში ბევრი ისეთი პროდუქტია, რომლებიც რაფინირებულ ნახშირწყლებს შეიცავენ – განაცხადეს სწავლულებმა, კოლუმბიის უნივერიტეტიდან. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ასეთი ნახშირწყლების რეგულარული მოხმარება, მაგალითად, ნაცხვრების, თეთრი პურის, კარტოფილისა და ბრინჯის, სისხლში შაქრის დონის მომატებას იწვევს. როცა შაქრის დონე სწრაფად იზრდება, ამაზე ორგანიზმი რეაგირებს და ინსულინს გამოყოფს. შედეგად შაქრის დონის დაქვეითებამ ჰორმონების გამოტყორცნა შეიძლება გამოიწვიოს, როგორიც არის კორტიზოლი და ადრენალინი. ეს ჰორმონები ძილის დარღვევას იწვევს. ამ დასკვნების გასაკეთებლად, მკვლევარებმა 50-ათასზე მეტი მანდილოსნის მონაცემები გააანალიზეს. სწავლულები იმედოვნებენ, რომ კვლევების შედეგები მედიკოსებს დაეხმარება, ხელმისაწვდომი და ეფექტური მეთოდები მოძებნონ პაციენტების უძილობისგან განსაკურნავად.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.